


გიგი სომხიშვილი

# მავნე სიყვარული

თბილისი  
2009



## ავტორისაგან

რა საამური იქნებოდა ადამიანთა  
ამქვეყნიურობა, სიკეთეს და სიყვარულს  
ბოროტება და სიძულვილი რომ არ  
წამლავდეს. განსაკუთრებით მნელდება  
არსებობა, როცა სიმართლის დამცველის  
ნიღბაში შემძრალი უსამართლობა  
ადამიანთა შორის ხელისუფლების სახელით დათარეშობს და მსხვერპლად  
სამართლეს, სიკეთეს და სიყვარულს არჩევს, რამეთუ ისე სძულს, როგორც  
ბნელს – ნათელი, ბუს – მზის სხივი, მაძღარ გახრწილობას – მშიერი  
კეთილშობილება.

მაღაინ მნელია მაღადობის ბრჭყალებში სიმართლის ძიება; საგარელია  
საკუთარი უსუსურობის შეგნება პირსისხლიან განუკითხაობასთან, ამ ღროს  
ადამიანს უფლის რწმენა და სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების ზღაპრები  
აძლევს შეგნებას. ბოროტება კი მთავარი ხელისუფალის საკარძლიდან აბნევდა  
სიცრუეს, უსამართლობას, მართალი კაცის კვნესას და გოდებას.

ოცდარვა თვეე გაგორე ეს კოშმარული სიბიფეს ლოდი სუკის დილეგში, რაც  
ბოლოსჩემით ჯახის უბედურებით დაგვირგვინდა. ბოროტებამ კი უხსენებლივით  
გამოისცალა კანი და ახლა სრულიად საწინააღმდეგოდ მიმავალი ცხოვრების  
საჭე იგდო ხელი ახალი უბედურების ბარტყების გამოსაჩეკად; გამოჩეკა კიდეც  
და მისი დაუსჯელად პარპაში პატარა ერს უბედურების კასკადად ექცა. მე კი  
სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების ზღაპრების კვლავაც მჯერა და ამ საოცნებო  
იმედს ჩემი ნაწარმოებებით გაქრობის უფლებას არ ვაძლევ.

გ. ს.

მხატვრები:

ტარიელ გარიშებილი  
ვახტანგ ბაცაცაშვილი  
ნუგზარ მანჯაფარაშვილი

რედაქტორები:

თემურ ჩალაბაშვილი  
დავით ქევზიშვილი

## გზა დაელოცოს

გივი სომხიშვილს მკითხველი საზოგადოება იცნობს, როგორც არაერთი რომანისა თუ მოთხოვობის ავტორს. იგი წლების მანძილზე იბეჭდება რესპუბლიკურ უურნალგაზეთებში, მისი ნაწერები გამოდის ცალკე წიგნებად.

ამ წიგნით კი ბატონი გივი ახალ ამპლუაში მოგვევლინა. მისი ლექსები და პოემები, აგრეთვე იგავები თურმე ამ წლების მანძილზე იწერებოდა და დღის სინათლე კი მხოლოდ ახლა მიანიჭათ მათმა ავტორმა.

ყოველ შემოქმედს თავისი სათქმელი აქვს, თავისი საკუთარი მსოფლმხედველობა და მხატვრული ქარგა. ამიტომ ჭეშმარიტ შემოქმედს თვით მამაზეციერი ვერ ასწავლის და უკარნახებს ვერც იდეას და ვერც მხატვრულ ღირებულებას. გივი სომხიშვილი როგორც პოეტი სიტყვაუხვია, მის ქართულს გამოკვეთილი ქიზიყური კილოკავი ასაზრდოებს და ალამაზებს. მას ბევრი სათქმელი აქვს, ბევრი ტკბილმნარის მნახველია მისი ავტორი, მისივე ენით რომ ვთქვათ, წუთისოფელს კარგად უჭანჭყარებია ცხოვრების გზაზე. კრებულში ბევრი საინტერესო ლექსია დაბეჭდილი. სათქმელს არ ნიღბავს, იგი ლექსის ფორმაზეც ნაკლებად ზრუნავს. უფრო ამბავს აძლევს უპირატესობას.

დღევანდელ ლიტერატურულ ცხოვრებაში ცოტა ვინმე თუ სწერს პოემას. როდესაც ავტორი ვერ ეტევა მცირე ნაწარმოებში და თანაც სათქმელის დიდი სურვილი

ახალისებს მის გონებას აი, მაშინ მიმართავს უფრო დიდ ტილოს. წიგნში წარმოდგენილი პოემები კარგად იკითხება, ამბავსაც მწყობრად თანამიმდევრულად ჰყვება, მაგრამ მე თუ მკითხავთ გივი სომხიშვილის სახე უფრო მის ლირიკულ ნაწარმოებებში ირეკლება. მას უფრო უეცარი მიგნებები ემარჯვება. ეს უკვე მკითხველის განსასჯელია და არაჩემი, როგორც წიგნის რედაქტორის. მე ჩემსას ვამბობ და დანარჩენს მკითხველი თავად მიხვდება. გზაბედნიერი იყოს მწერალ გივი სომხიშვილის ეს ახალი წიგნი, პოეტური კრებული.

**თემურ ჩალაბაშვილი**

მეგანიდა

## რა არის ლექსი

რა არის ლექსი? გულის კარნახი,  
თუ ოცნებების ნაგრიგალევი,  
ჭეშმარიტების საღი ნაყოფი,  
თუ ბურუსია ნამძინარევის.  
ცაში გაჭრილი უბელო რაში,  
ამხედრებული მასზე ავტორი,  
კვალი ხარ მკვეთრი, ხან მკრთალზე მკრთალი  
ამ წუთისოფლის მკერდზე ნატორი.  
სინამდვილესთან პირისპირ შებმა,  
მისი მუქარის არ შეშინება;  
ხან ქედის მოხრა, უხეშ ძალასთან,  
სიყალბით ბლენძის დაშოშმინება.  
ზოგჯერ უმიზნო უწონობაა,  
ხმელი ფოთოლის ცაში ფარფატი,  
ხან მოთქმა არის ნაზი ბულბულის,  
ურიცხვ ნადირთა ხმაში ნაფანტი.  
ხან შემართული არის მახვილი;  
მუდამ პირბასრი, დაუღალავი,  
სიმართლის თქმაა გაუხედნავი,  
შეუკაზმავი, დაუნალავი.  
ლექსი მეხია მჩაგვრელის თავზე,  
შურისძიებად ამღერებული;  
იგი სიცოცხლის ყვავილი არის,  
წლის ყველა დროში აღერებული.  
რა არის ლექსი? ყველაფერია!  
ფეხის ქვეშ მიწა, მაღლა ცა ვრცელი,  
ხან მოვარდნილი გრიგალია და  
ხან სიოსავით მოდის დარცხვენით.  
ხან მიწიერი ყოფის შვილია,  
ხან ფანტაზიის თვალით დაგვცემის;  
ლექსი სიკეთის გამარჯვებაა  
და ბოროტების თავზარდამცემი.

17.12.1985 წ.

## ქართული ნანა

ქართულ ნანას მიმღეროდა დედაჩემი,  
 ქართულ ზღაპრებს მიყვებოდა ბებია,  
 სიზმრებში რომ ოცნების ფრთით დამაფრენდნენ  
 წინაპართა სულები და ძვლებია.  
 საქართველოს ნათელი დღე გაუშავდა,  
 ჩვენი კვნესით ყორნები ვერ ძღვიან.  
 ქართლის დედის გოდება და ცრემლი გვაწვიმს,  
 სისხლის ტბორში ჩაძირული გზებია.  
 მწყემსმა ფარას, თავის სამწყესოს უღალატა,  
 ჩვენს დაქცევას მტრის ბანაქში ყვებიან;  
 დროებით რომ ბაბილონის გოდოლს ვგავართ  
 მუხთლის ტვინის დაფრენილი მწყრებია.  
 ქართულ ნანას შიმშილი და სევდა ახლავს,  
 ზღაპრებში კი ალქაჯები წვებიან;  
 მომავლის ძილს წინაპრები დარაჯობენ,  
 წაიღვნებენ გატანჯული წლები აეს.  
 ქართულ ნანას მიმღეროდა დედაჩემი,  
 ქართულ ზღაპრებს მიყვებოდა ბებია,  
 ქართველებს რომ სიყვარულის რწმენად შეკრავს  
 წინაპართა სულები და ძვლებია.

14.09.1996 წ.

## შავი სიზმარი

დღე არეული ღრუბლებს ითვლიდა,  
 ხის კენწეროზე ქარი ყვიროდა,  
 საფლავზე იჯდა შავი სიზმარი  
 და მისი ბავით ქალი ტიროდა.  
 მესაფლავე კი მიწას ებრძოდა,  
 გრძნობის ჭრილობა აღარ სტეოდა;  
 ვინც დაბინავდა ბოლო სამყოფში,  
 ყველა უკუღმართ ბედზე ჩიოდა.  
 მიწის გულმკერდი გააპო ბარით,  
 მორჩა, ბოლომდე კარგად გათხარა,

ცივ მიწაყრილზე მიაგდო ოხვრა,  
გვერდით მოისვა ბედის მასხარა.  
ცამ დაიკვნესა, ცრემლი დაღვარა;  
საფლავზე შავი შეტოკდა ლანდი,  
გლოვამ ღრუბლებში გადაინაცვლა,  
თუ მიწისპირზე შეყოვნდა დარდი?  
პირგაღებული, ბნელი საფლავი,  
წვიმის წვეთებით გადაიმარცვლა,  
მესაფლავებ ბარს მოჰკდა ხელი,  
ახლის სათხრელად გადაინაცვლა.

12.03.1985 წ.

## განშორების კაეშანი

რაც დაგტოვე, იმის შემდეგ  
ფიქრი დარდში ვაცურე,  
ყველგან სისხლის ცრემლი ვღვარე,  
გული მუჭით გავწურე.  
იმედს მაინც ვეფერები,  
როგორც დედა პატარებს,  
იმის ფერმკრთალ გაელვებას  
სიკვდილამდე ვატარებ.  
მათრობელა კაეშანი  
დარდით ვერ დავაპურე,  
წარსულის ტკბილ განსენებას  
ღიმილი დავაპკურე.  
უსასრულო ოცნებას კი  
ცაში ფრენა ვასწავლე,  
სინამდვილეს უშენობა  
ვერაფრით გავაკარე.  
მივდივარ და თან მიმყვება  
წარსულ დღეთა სურვილი,  
მწველი ცეცხლის ალზე მაღნობს  
შენი ნახვის წყურვილი.  
გთხოვ, ცუდად ნუ გამიჩსენებ,  
ილაღე და იხარე,  
ჩვენი ნაზი სიყვარული  
სხივად გადაიფარე.

გეხვეწები, ჩემს საფლავზე  
გვირილები დაყარე;  
დამიჯერე, გლოვას არ გთხოვ,  
წყვილი ცრემლი მაქმარე.

22.07.1984 წ.

## პირველი თოვლი

დღეს აქ პირველი თოვლი მოვიდა,  
ალბათ სიღნაღმიც ცეკვას ფანტელი,  
შენს ფანჯარასთან ისევ ბინდია,  
თუ საცოდავად ბჟუტაგს სანთელი?  
მე როჭოსავთ ყრუდ გამომკეტეს,  
მაგრამ ფიქრებს თან ახლაგს ნათელი,  
სიცოცხლის ფეთქვას ფავხარ იმედად,  
ოხ, რამდენი აქვს შენთან სათქმელი.  
წომ გახსოვს პარკში მძინარე თოვლი,  
გათეთრებული ნაძვთა რიგები,  
მზერით რამდენი გვისაუბრია,  
თვალთა ციმციმით ნათქვაშს გიგებდი.  
თოვლით დამბიძა ალბათ წეები  
და მოკლე გზაზე ტყესთან საუბრობს;  
სიმბიმისაგან დახრილა ტოტი,  
მოტეხა არ სურს, უნდა გაუძლოს!  
იქნება მარტო მიყვები ბილიკს,  
უმანკო თოვლი ფეხქვეშ ხმაურობს,  
თუ სადმე სხივი ფიფქზე გადატყყდეს,  
თქვი, ჩემი მზერა შენთან საუბრობს.  
დრო ზამთრის ზეიმს ცრემლებად აქცევს,  
ყოჩივარდებიც აყვავდებიან,  
ლოდად ქცეული მძიმე დარდები  
კვლავ სიხარულად ამღერდებიან.  
ახლა ოცნების მხნე სტუმარი ვარ,  
ვიწრო ბილიკზე გვერდით მოგყვები,  
შენი ღიმილის სითბო თან მახლავს,  
ტვირთს მოვიცილებ და არ მოვტყდები.

2.12.1984 წ.

## მონატრება

მომენატრე ვარცლის თავზე  
დაგროვილო საფანელო;  
— პირმოტეხილო ხელადავ,  
ქვევრის ახლოს საწნახელო;  
— ღვინით გაუღენთილო ჯამო,  
საღლეგრძელოდ დასაჭერო;  
— ცხიმიანო გუდის ყველო,  
ზედ შუაზე გასაჭრელო;  
— შოთის პურო, ხელდამწველო,  
გასაწყვეტად გასაწელო;  
— მევენახის წინსაფარო,  
— შაბნაწვიმო ტანსაცმელო;  
თქვენი ტრფობის მოღექსე ვარ  
და მოყვარედ თავსა ვჩემობ.

8.10.1985 წ.

## ოცნებებმა დამტოვეს

ყველა ოცნებებმა და  
იმედებმაც დამტოვეს,  
რომ ვიღაცას ვახსოვარ,  
მასულდგმულებს მარტო ეს.  
გარეთ წვიმა ხმაურობს,  
თუ იღვიძებს სირცხვილი,  
კარებს იქით უჯიგრო  
მეთვალყურე იცინის.  
აქ სიწყნარე და ავი  
სიცივე მყავს მეუფედ,  
მალე ძილიც მოვა და  
ახალ სიზმრებს შევუკვეთ.  
გაყინულა სამყარო,  
ჟამიც აღარ ტრიალებს;  
წარსულ დღეებს რა დათვლის  
დამცირების მტგრიანებს.

კვლავ რიგ-რიგად მოდიან  
 ბოროტებით სავსენი,  
 რა ვქნა, ამ ნაწამებ სულს  
 ისინი ვერ დავხსენი.  
 პარაზიტად ქცეულნი,  
 ერთმანეთის მსგავსები,  
 წურბელასავით მწოვენ  
 მაინც მათთან ვთავსდები.  
 ყველა ოცნებებმა და  
 იმედებმაც დამტოვეს,  
 დასაწყისს რომ ბოლოც აქვს  
 მასულდგმულებს მარტო ეს.

06.15.1985 წ.

## გაზი ღელავს

ვაზი უქვე ატირდა,  
 ენძელები ცეკვავენ,  
 ჩრდილში შემორჩენილ თოვლს  
 მზის სხივები კენკავენ.  
 გაზაფხულის ზარები  
 ჩიტების ხმით რეკავენ,  
 ზოგნი კვერცხებსა დებენ,  
 ზოგნი უქვე ჩეკავენ.  
 ვაზი მზის ნახვით ღელავს,  
 გლეხი კაცი აწყნარებს;  
 ბახუსი წვენს მოითხოვს,  
 რთვლის მოსვლამდე აცალეთ.

07.08.1980 წ.

## გვარზე მხტომარე კვიცი

ზღვაში ფეხდაფეხ შევტოპე,  
 შმაგ ოცნებებზე დევნით,  
 შემომეყარა ნეპტუნი  
 მუქარითა და წყევლით.

მან თავისი თქვა, მე – ჩემი,  
 არ შევეპუე, არა,  
 ტალღა ტალღაზე მაძგერა,  
 ფიწალიც მოიხმარა.  
 ქუხს, მიტევს, ბრუნავს მორევი,  
 ზეცა ელვად ცრის რისხვას;  
 ოცნებებს ვერ წამართმევენ,  
 ვიტყვი, ვამბობ და მითქვამს.  
 სტიქია ულმობელია,  
 ახლავს უგნური ჯავრი,  
 ბნელია ძალა უხეში  
 ვით სახის კანი მავრის.  
 ზღვა სულ ცოფად რომ გადიქცეს,  
 ვერ შემაკავებს, ვიცი,  
 ბოროტება ვერ ჩამიქრობს  
 სკეთის სხივის ციმციმს.  
 მას ძალა ახლავს, მე – რწმენა  
 და ერთგულება ფიცის,  
 ღვარძლის გრიგალებს შებმია  
 გვარზე მხტომარე კვიცი.

09.07.1986 წ.

## ჩემი ქიზიყი

გვალვა ცოფიანი მთა-ბარს მოსდებია,  
 ცხელი ქარები ხომ მინდვრად მისი ქრიან;  
 ცივგომბორის ქედზე დინჯად გადმომდგარი,  
 შრომით გაუძღები ჩემი ქიზიყა.  
 ალაზნის ველის თეთრი შოროქნების  
 ავი მარილები ნაყოფს წინ-წინ გვიან;  
 მადლით რომ აკურთხა ყველა გოჯი მიწის  
 მარად დაუღლელი ჩემი ქიზიყა.  
 თვალუწვდენი ზერების სეტყვასთან ჭიდილი,  
 ქარვის მტევნები თავს მზის წინ ფიცით ხრიან;  
 ბარაქად ქცეული, მხარე მადლიანი,  
 გლეხის ოფლის ნისლში ჩემი ქიზიყა.

ყანა ზღვად ქცეული ოქროს თავთავების,  
 ხალხი ვენახში რომ ხვდება ცისკრს ციალს;  
 ფარა-ფარას მისდევს, მწყემსი მიღიღინებს,  
 მარად მუხლმაგარი ჩემი ქიზიყა.  
 დიღმა სიყვარულმა ლექსად ამამღერა,  
 შენსკენ ლტოლვის ძალა მხრებით მიზიდია,  
 ხალხი შეუდრეკი, მხარე უბატონო,  
 მუხად გაბორჯილი ჩემი ქიზიყა.  
 09.06.1986 წ.

## პალატის ტყვე

ფანჯარაზე მტრედი იჯდა,  
 ნამცეც პურსა კენკავდა,  
 პალატაში ავადმყოფის  
 ბედი ლოდინს ჩეკავდა.  
 დიდ ქალაქის მღვრიე პაერს  
 ფერი ჰქონდა სატანის,  
 იმედი გაყინულიყო,  
 — კვალი მისი ნატარის.  
 თეთრ ხალათში შემძრალ ექიმს  
 გრძნობა ჰქონდა უბრადა;  
 სათნოებას სარეცელთან  
 ანგარებამ უბადოა.  
 გაჭირვებას ავადმყოფი  
 კვნესით თვალებს უბამდა;  
 ჭირი სხეულში შემძრალი  
 ხორცს ღეჭავდა უმადა.  
 მტრედის ბედზე პალატის ტყვე  
 სასოებით ფიქრობდა,  
 მოკლე წუთისოფელი კი  
 ალქაჯივით მიქროდა.

12.12.1987 წ.

## მატლების სამეფო

თუ გინახიათ ლეშზე მატლის მოდგმის ფუსფუსი,  
 თუ გინახიათ საქმიანი მათი ღრეობა,  
 სანამ შეჭამენ და ჩანთქავენ ბოლო ლუკმამდე,  
 ახლავთ შური და მხარში უდგათ ძალმომრეობა.  
 იქნებ მეცეც ჰყავთ და ღმერთებიც შექმნეს თავისი,  
 სამსჯავროცა აქვთ, სადღაც ზარის რეკვაც გაისმის.  
 ჰყავთ პატიმარი, რომ არ ჭამოს ლეშის ნარჩენი,  
 ბატონებიც ჰყავთ, სადღაც მონაც კენესის ნაცემი.  
 კანონიცა აქვთ, თავისი აქვთ, ვთქვათ, სამართალი,  
 ლეშით გამბდართა მიზნებისთვის გასამართავი;  
 შვილებსაც ზრდიან, აქვთ სკოლა და აკრთობთ მისანი,  
 გეგმებს აწყობენ, უამრავი ათრობთ მიზანი.  
 ბრაზით დადიან ერთმანეთის შურით გავსილი,  
 დიდებასა სისტემის სული დასვრილი;  
 მაძლრობა უნდათ, სხვისთვის ლუკმაც არ ემეტებათ,  
 შუღლი, მუხთლობა ჯალათივით დაეხეტება.  
 მაგრამ ერთხელაც, როცა ლეში გაუთავდებათ,  
 ყველა ფიქრები, თვით მიზნებიც გაუქმავდებათ.  
 შეიყრებიან უფსერულის წინ მეფეც და მონაც,  
 დაავიწყდებათ მაცხოვარი, მღვდელიც და მოლაც.  
 მოძალადეთა ძალადობა გაიძარცვება,  
 მუცლის კარნახის იმპერია ოხრად დარჩება.  
 აღიგებიან, გაქრებიან ვით მტვერი მიწის,  
 განგება კვალზე მიაყოლებს ხარხარს და სიცილს...  
 ვიღაცა მოვა, იმათ ნარჩენ ჭინჭისაც მოხვეტავს.  
 დრო უწყალოა წავა, ხსოვნის ჭიშკარს მოკეტავს.

1985 წელი.

## ბულბულის ენას

ვარდზე ბულბული ამღერდა,  
 შეჩერდა ბრუნვა დღისა,  
 ფოთლებზე მარგალიტებად  
 ეყარა ნამი ცისა.

გაყუჩებული ბუნება  
 დამონებოდა სმენას,  
 სიკეთემ ფოტი გაშალა,  
 გაქრა შური და წყენა.  
 ია მზის სხივმა ჩაიკრა,  
 მწვანე მინდორზე დაწვა;  
 ზამბახმა კვირტი გაშალა,  
 ნაზი სურნელი დაწნა.  
 გველს ძარღვში სისხლი გაუთბო  
 ამ ბედნიერმა განცდამ,  
 რაც ბოროტება ახსოვდა,  
 სულ სინანულად მარცვლა.  
 შეუსვენებლად იგალე,  
 ბულბულის ტებილო ენავ,  
 რომ სამუდამოდ შეჩერდეს  
 ქვეყნად ფოთოლთა ცვენა.

1976 წელი.



## მე ჩემი სიხარული მაქვს

მე ჩემი სიხარული მაქვს,  
 ჩემი იმედი მომწონს,  
 ჩემი დუშმილით გართობამ  
 გულზე მალამო მომცხოს.  
 სახეზე ბზარი ნაოჭითა  
 წლების სიმრავლემ მორწყო,  
 დიდი წამება მაჩვნა  
 კაცმა კაცობით მომცრომ.  
 ადამიანი მინახავს,  
 თვისტომს რომ ღეჭავს ხორცად,  
 – რწმენის მთავარი მოძღვარი  
 რწმენის მტრედების ხოცვად.  
 ვისაც ვინა ყავს გამჩენად,  
 იმ მკერდის ძუძუს მოსწოვს;  
 მე ჩემი რწმენა მაცოცხლებს,  
 ჩემი რიყის ქვა მომწონს.

26.06.1989 წ.

## მაცდური ცხოვრება

ჭრიჭინა არ გაჩერდება,  
 თუნდაც გალობდეს ბულბული,  
 ის თავის საფქველს ჩამოფქვავს,  
 ქატო არის, თუ ბურლული.  
 სხვაგან კვერცხების დადებას  
 არ შეეშვება გუგული,  
 ყველას თავისი რწენა აქვს,  
 თავისი კვებავს სულ-გული.  
 ნაკელის ხოჭოს მიართვი,  
 უკან მოგაგდოს სულგუნი;  
 კაცი რომ შეწვას დაუცდის,  
 მგელმა შეჭამოს სულ უმი.  
 მაცდური არის ცხოვრება,  
 მთლად უცნაური გაჩენა;

Ընմոլութ Բայուսռոյալո,  
Ճռլոմքը զերպին ամենա;  
Ավելաց դա լուսնութ Բայուլո  
Եղբայ յո զանմե մահվենա.

8.07.1985 թ.

## ՌԱՋ ԻՎՈՅ ԻՎԻՇՈԼՈ

ՈՎՈԼՈ-ԾՈՎՈԼՈ,  
ՌԱՋ ԻՎՈՅ, ԻՎԻՇՈԼՈ,  
ՍԱԿԵԿՈ մուրտզո,  
ԱՐ շաբանին ԾՈՎՈԼՈ.  
ՀՕԼ ՆԵՎԱՄ մշութանա,  
մաշրամ օւր ՌՈ,  
ԵՑ ԿԱՇՔԻ ԵՎԱԼ դա ՔԵՑ  
ՄԵՐ ՄԵՆԴԱ ՕՐԻՒՆՈ.

10.07.1976 թ.

## ՑՈԼՈՎԱՏՈՒՅԱՆ ՄԵ ԱՐ ՑՈՑՐԱԼԵՅՑ

ՑՈԼՈՎԱՏՈՒՅԱՆ ՄԵ ԱՐ ՑՈՑՐԱԼԵՅՑ,  
ՎԵՐԿ ԾԱՄՈՒՑՈՆ ՄԵՐԵԼՈՆ ԳԱԼՈՎԱՄ,  
ԾԱ ԾԱՎԱՆ ՍԱՄԵՅՈՆ ՎԱՐՈ,  
ԵՇ ԳԵՐՈՆԵՅԱՏ ԵՎՈՆ ԵՐԱԼՈՒԱ.  
ԱՆ ՌՈԹ ՃՈՐԳԱՎԸ ՄԵՐՈՒՅԱ, ԾԱԼԱՑԻ,  
ՄՑԵՎ ՆՈՃԵԼԵՄ ԳԱԾԱԺԵՎՐԱԼՈՒԱ,  
ԾԱ ԾԱՎԵՍ ՄԵՄԾՈԼՈՒԸ ՎԵՐԵՎՈՆ ՀԱԼԱԳՈ,  
ԵՇ ԳԵՐՈՆԵՅԱՏ ԳԱԾԱԺԵՎԱԼՈՒԱ.

ԿՐԱԽԵՅՈՒՅԱ ԵՎ ԱՆՎԵՐԵՅԱ,  
ՎԵՐԿԱՆԱ ՎՆԱԽԱՎՈ ՄԱԾԼՐՈՆ ՀԱՆՈԱՆ,  
ՎԱԾՐՈՆՈՆ ԵՐԵՎԱՆ ՎԱՆԱՎԵՐԵՅՈՒԼՄԱ  
ԺԱԾԼՈՄԱ ԳԱԾԵԿՈՆ ԺԱԾԼՈՆ ԺՎԱԼՈՒԱ.  
ՄԵ ՆՈՎՎԱՐՄԱՆՈՒ ՎԵՐԵԼԵՄ ՎՈՎԵՅՈՒ,  
ՆՈՎՈՎԵԼԵՎ ՄԱԾՄ ԳԱՆԱԿՎԱԼՈՒԱ;  
ԸՎԱՐԺԼՈՒ ԾԱ ՄԵՐՈ ՄՈՎԱՄ ՄԵՔԱՄՈՆ,  
ԵՎԵԴՐՈ ՄԱՏՈԱ, ԳԱՆԱ ԺԱԾԼՈՒԱ.

8.07.1985 թ.

## გინ გაიგოს ჩემი კვნესა

ვინ გაიგოს ჩემი კვნესა,  
ირგვლივ ყრუთა ბანაკია,  
ეს ცხოვრება კანიბალის  
მოგონილი არაკია.  
კაცს, სინდისის ერთგულებას  
გესლის წვიმა არ აკლია;  
ერის შვილთა იმედები  
მუხთლობასთან არმად ყრია.

1995 წ.

## გრძელი ლოდინი

თოვლის ნაბადში მთა-ბარი,  
გზაში დაფლული მგზავრი,  
ირგვლივ ყინულის ხარხარი,  
ძარღვში ჩამჯდარი ჯავრი.  
ავდარში დარის ლოდინი,  
განცდა ბალღამზე მწარი;  
ცოდვის ხახაში ცოდვილი,  
ღაწვებზე ცრემლის ცვარი.  
ლოდინი, გრძელი ლოდინით  
იმედის მკერდზე ბზარი,  
აგორებული ლოდივით  
უგრძნობელობის ზარი.  
ქარის ნამქერთან ღრეობა,  
სითბოს ნარჩენის ძარცვა;  
გულის უდრევი მხნეობა,  
მძიმე წუთების მარცვლა.  
ჭიდილი სუსხის ღრენასთან  
შეუპოვარი სულის;  
შეხვედრა ფერთა მღერასთან  
და შეხორცება წყლულის.  
ძარღვში ზაფხულის დუღილი,  
დაგიწყებული დარღი;

გამარჯვების დღის ქუჩილი,  
 ოცნება სხივზე მარდი.  
 კლდეს შემსხვრეული ხუნდები,  
 დამიწებული კვნესა;  
 ცაში მერცხლების გუნდები,  
 ყველგან სიკეთე წესად.

3.02.1988 წ.

## დილეგში

გული კეთილი ჰქონდა,  
 ეფერებოდა სხვას,  
 მოწყენილი უმზერდა,  
 გისოს გაღმა ცას.  
 სიცოცხლეს თაყვანს სცემდა,  
 უყვარდა დღეთა თვლა,  
 იმისი გამწბილებლის  
 დანდობა ღმერთმა თქვას.  
 მოძალადეთა მსხვერპლი  
 იდგა დილემის კართან,  
 ცილისწამება ურცხვი  
 უსპობდა სიტყვას მართალს.  
 გისოსთან იდგა წყნარად,  
 უმზერდა წმინდა ცას;  
 მუხთალი კაცის ტვინი,  
 რას უმზადებდა, რას?!

28.08.1985 წ.

## ლამეა წყნარი

ლამეა წყნარი და უშფოთველი,  
 ჭრიჭინებს ათასი კალია,  
 ცაზე ვარსკვლავი გაიაფდა,  
 ირმის ნახტომის კვალია.  
 აგერ, გახია ერთმა ზეცა,  
 მოსწყდა განცხომის მწვანიანს,

უმტყუნა მუხთალმა ბედისწერამ,  
დაიწვა და მასზე მწყრალია.  
ლამეა, სიწყნარეს აშფოთებენ,  
კატები მოთქმისფრად კნავიან;  
სიცოცხლეს კანკალით რომ იხუტებს  
მთლად უცოდველი კრავია.  
მგელი მგლობს, სიბნელე ახალისებს,  
ეს მგლობაც შიმშილის ბრალია;  
სისხლს დაღვრის, ლამესაც შეაშფოთებს,  
რა ქნას, გრძნობებზე მწყრალია.  
ცას ვუმზერ, ვარსკვლავნი პაექრობენ,  
მათაც იქ რამდენი შარი აქვთ;  
ალბათ ცის გვამშიც შეიჭმება  
ვინც ბოჩოლა და ცხვარია.  
ლამეა წყნარი და უშფოთველი,  
ლამაზი ოცნების დარია;  
ვერ ოვრება გრძნეული სილამაზით  
ვინც გაქრა და უკვე მკვდარია.

23.08.1987 წ.

## ღალატის ბრჭყალის ტყვე

შენ დაგაჩოქა ყორნის ფრთის ფერმა  
და კაეშანი გიტევს წყეული,  
ობლად დაგტოვა ოცნებამ მწველმა  
სიხარულს და ლხინს გადაჩვეული.  
იმედის ძარღვი გაწყვეტას ლამობს,  
ზაფხულის მკერდზე ცეკვას ზამთარი,  
სატანის მსგავსებს სატანა სწყალობს,  
კვლავ ბოროტების თესვად მზად არის.  
ისედაც მოკლე სიცოცხლე ნაზი  
გაგიმწარეს და გიქციეს კვნესად,  
იმათ დალატი, შური და ბრაზი,  
რომ დაამკვიდრეს ამქვეყნად წესად.  
ხომ გიხაროდა დღეთა ნათება  
და გაზაფხუის ფერთა თამაში,

გწამდეს, სიცოცხლე გაიძართება,  
ყვავიც მძორდება მძორის ჭამაში.  
ქვეყნის დამრბევი ნაღრძობი ტვინი  
ეზოს მოძლრად ვინც გაიხადა შინ,  
არ მოაკლდება წყევლა და ჭირი,  
მის ნაცოდვილარს ქარი გადაშლის,  
ბილწა ზიცინი, მწველი სირცხვილი,  
ვიცი, ღალატის ბრჭყალი გაცვლება.  
დრო მოვა, ღალად კვლავ გაიცინო,  
სანამდე ცხელი სისხლი გაშრება.

1984 წ. მაისი

## მომგონებელს

როცა ნიავმა ხევი დატოვოს  
და შეუშფოთოს ფოთლები ძეწნას,  
როცა მკერდსავსე ოქროს მტევანმა  
მოწყვეტისათვის შეგბედოს ხვეწნა,  
როცა ნაყოფით დამძიმებულმა  
კომშმა დაღლილი ტოტი დახაროს,  
მკერდზე გაუსკდეს კანი ბროწეულს,  
დამწიფებაში შესვლა გახაროს;  
როცა ყურძენმა ინატროს ქვევრი,  
მალე მაჭარმაც იწყოს ქადილი,  
ყანწს დაუსველდეს გამშრალი ყელი,  
ცაში აიჭრას ლხინი ნამდვილი;  
თონემ ღადარით გულანთებულმა  
ალერსი იგრძნოს შითი პურისა,  
სიცოცხლემ ბახუსს უთხრას სალამი,  
აამეტყველოს შფოთი სულისა.  
ნაკვერჩხალზე რომ საკმეველს დაყრი,  
პურს დაასველებ ღვინის წვეთებით,  
შესანდობარის შემდეგ მრავალი  
სადღეგრძელოთა შესმით შეთვრები,  
ნუ დამზიწყებ, იქ. თონის პირზე,  
ეული ჭიქა შეავსე ჩემთვის,  
ზედ დააფარე შოთის ნატეხი,  
მაგ სიკეთისთვის დაგლოცავს ღმერთი.

ლამე მოვყვები პირქუშ აჩრდილებს,  
 ფუძეს დავლოცავ ლხენა ნაწვიმებს;  
 ლუქმა პურით და იმ ჭიქა ღვინით  
 ყველას სიყვარულს გავინაწილებ.  
 16.08.1985 წ.

## სანამ ხარ

როცა სიცილი გეწვიოს,  
 არ დაიზარო, იცინე,  
 სულ დაგავიწყდეს იქნება,  
 რაც ძალადობით იწყინე.  
 თუ გაგახსენდეს წარსული,  
 დიდების ყანწი დალიე,  
 ჯავრს გული არ შეაჭამო,  
 ილხინე, მრავალჟამიერ.  
 თუ გაგიმწარდა სიცოცხლე,  
 დღე შეგიძოვლა გამჩენმა,  
 გჯეროდეს, წასკლა სჯობია  
 ამქვენად ცრემლდით დარჩენას.  
 მონის უღელს ნუ დაიდგამ,  
 მხერობა ცამდი ასწიე,  
 ყვავმა სიცოცხლის რა იცის,  
 ეს უნდა ჰქითხო არწივებს!  
 სანამ ხარ, მეტეორივით  
 აენთე, სხვებიც გაათბე;  
 რად გინდა ისეთი ყოფა,  
 თუ სულს მათხოვრად დაათრევ.  
 21.11.1985 წ.

## ჩემო თაო

ეხ, ჩემო თაო, გეტყვი რა?!  
 გეტირა, დედა გეტირა!  
 გაგყიდა ყველა მუხთალმა,  
 ნეტა, შენ რატომ გეწყინა?!  
 არ ჩივი, რაც კი გეტკინა,  
 რატომ დაგკიდეს შენ ყირა;

Տաճապ մշտական ջութակ,  
 Նշանակած երտագ մշտական.  
 Գինդուց մատու մոտուկա,  
 Գևորգա Խմանալլա գյուղուրա,  
 Գոթեցանցն ծրման լա յրունու,  
 Ծեր զո կալանի գյուղուրա.  
 Եթ, հիմու տառ, Տօմարուլլես  
 Եմսաեւրուն Ծերն քուրաց!

2.03.1988 ՞.

\* \* \*

Իւզա, Իւզա, պայլա Իւզա,  
 Բուշվա Իւզվան ճարուա,  
 Ցուցան Իւզվա ճարինա,  
 Ցուցան օսեց մշտական.

7.02.1988 ՞.

### Ագճռուն Ծյոցուն մոտիմա

Իյալս ցալմա ցալացոնեցա,  
 Ենույ Իւմերուա միշերացա,  
 Հարություն միշերակլու ցամեծարա,  
 Եզերեծուց միշ ըասաց.  
 Ժյեն լա ծոծոյերոն Իյալու,  
 Այրուց մուս եզելա ցան;  
 Ցայտոնշ-ցայպոնա  
 Տօմուրաց լա լունացա.  
 Ցամունմաց շա լունացա,  
 Հայունտեզուա Իյենացա;  
 Մյու մուս կալու ալումարու  
 Մշուրուց լա Իյալուցա.  
 Մյումուրինուար յարմենուցուն  
 Ազո մունցեն մրեզլացա;  
 Մեռլուց լուր-յամ ցամոինցուն  
 Մուս Ծյազ-եռուցուն միշելացա.

27.12.1985 ՞.

## გარ უკვდავება

ვარ უკვდავება ჩემი მრწამსისა,  
 მუხთალის ტყვაა დამიზნებული,  
 ბნელში კელაპტრით სიარულისთვის  
 თვით ბელზებელთან დაბეზღებული.  
 სიყვარული მწვავს ჩემი მამულის,  
 მისოვის სიცოცხლედაფიცებული.  
 მოძალადეთა ძალადობისგან  
 სისხლმოწოვილი, გაფიცხებული.  
 ადამიანთა სირცხვილის მიერ  
 ქვის სარკოფაგში დაძიწებული,  
 მაგრამ ნამდვილი ერის შვილთათვის  
 არც მკვდარი და არც დავიწყებული.  
 საკანში მომწვდა მზის მკრთალი სხივი,  
 მისი ღიმილით გავიგსე გული;  
 ერთხელ მოგწვდები, არაკაცობავ,  
 შურისძიებად გაღვიძებული.

7.08.1986 წ.

## გინა გარ

ვინა ვარ და ვინცა ვარ,  
 მიწის სურნელს ვფიცავარ,  
 ხან აფთარის ღოჯი ვარ,  
 ხან ღუნღულა ციცა ვარ.  
 დავიძადეთ შიშველი,  
 ვინც დარჩა და ვინც არა;  
 ბოლოს მაგრად ჩამკეტოს  
 კუბოს სამმა ფიცარძა.  
 ეს ცხოვრება შევიცან,  
 სიცილად და ხიცინად;  
 წუთისოფლის მასხარას  
 წავიმძღვარებ წინ-წინა.  
 ვინა ვარ და ვინცა ვარ,  
 ტვირთის ქვეშაც ყინჩად ვარ;

სიყვარულის პანგი ვარ,  
ბოლოს პეტვი მიწა ვარ.  
15.11.1988 წ.

## უძრაობის ტყვე

როგორც წიწილი ტყვე ვარ  
მე უძრაობის კედლის,  
ვასკდები გულის ტკივილს  
მსგავსი ცოცხალი ცხედრის.  
არა ვარ დუნე მონა  
ჩემი უსახო ხვედრის,  
მივარღვევ ჭირს და ვარამს  
ასლი უცხენო მხედრის.  
არ ვიცი, ვის მივმართო,  
ხმლით დავეძგერო მხნედ ვის?!  
მკერდში ქარბუქი ღმუის,  
გამოვადგები ხედ ვის.

14.06.1993 წ.

## უფლის დაპირება

ქვეყანა ყალყზე შემდგარა,  
იმისმა ხილვაშ შემზარა,  
წავედი, ვნახე უფალი,  
შეკითხვა არ დამეზარა.  
მითხრა: — ბიძიკო, ტყუილად  
ამბის საკითხად დახვალო,  
ცოდვები ისე გახშირდა,  
მეორედ მოსვლას ნახავო.

26.08.1991 წ.

## არ ჩამიქრე

კარებთან დანთებული სანთელი,  
მის გასწვრივ შებოლილი კედელი,

ლოცვები ცურემლებად დაღვენთილი,  
გაცრუებული ედემი.  
სინათლის სხივი დაკარგული,  
ფაფარაშლილი ბნელეთი;  
მეორედ მოსვლის მოლოდინი,  
ზღვისგან ჩანთქმული ხმელეთი.  
კარებთან ახალი სანთლის მიკვრა,  
გულზე მორგებული იმედი,  
უფლის რწმენასთან მუხლის მოყრა,  
შველის მოლოდინი მცირედი.  
ანთა, იწვება, იღვენთება,  
ნელ-ნელა თავდება სანთელი,  
მაცალე, პატარავ, არ ჩამიქრე,  
ჯერ კიდევ ბევრი მაქვს სათქმელი.

ივლისი 1996 წ.

## წარმაფალი წუთისოფელი

ლომი რომ იყო ჯუნგლის კანონს სისხლით ათრობდა,  
კერდლლად ქცეული კაცომოყვარე წესებს ნატრობდა;  
ვისაც რა აწყობს, იმ მოტივზე მომართავს მღერას,  
ძალაც კანონებს თავის სარგო მოდაზე კერავს.  
როდის ყოფილა, ცხვარს მოუხდეს აფთრის ნათქვამი,  
ვინც ძლიერია მისი აფრით დაქრის მართალი;  
ლომი იყო და რაც კი რამ თქვა სწორად ჩათვალა,  
კურდლლად იქცა და ვერ უგებდა წყობას სათვალავს.

11.08.1986 წ.

## სიცრუე სკამზე

სკამი მოგცეს და დაკარგე  
ეგ ერთი ბეწო ტვინი,  
ადრეც უფრთხოდი მართლის თქმას,  
ტახტზე დაისკი ტყვილი.  
სიყალბე სისხლში გიმღერის,  
ქადილი გხურავს თავზე;

აბა, სიცრუის გარეშე  
შენ ვინ დაგსვამდე სკამზე.  
10.02.1996 წ.

## ეს ცხოვრება

ეს ცხოვრება წამებულთა  
უფლისადმი ღალადია,  
სიცოცხლეც ხომ სათუთი და  
თხელი, როგორც ქაღალდია,  
რაც არ უნდა გაუფრთხილდე,  
სიპედილის დღე სახადია.  
ადამის ძის ნატერფალიც  
სულ ომებით ნაღადრია.  
დამარცხებულს მზე არ ათბობს,  
გასათელად დაბლა გდია.  
გამარჯვებულთა რიგები  
აღლუმებზე ღალად დიან.  
ეს ცხოვრება ზოგისათვის  
მოთელილი ნაბადია,  
ზოგისათვის ეკალ-ბარდი  
გველის გესლით ნაბარდნია.  
სიმართლე თუ გაგითელეს,  
ღვარძლიც ყელზე მაღლამდია,  
მტრისთვის დედის ატირება,  
ერთი სულის ბალდადია.

8.02.1985 წ.

## დილეგის ტყვის თხოვნა

მინდა სიმღერის მოსმენა,  
მწყურია სიო დილისა,  
მსურს თვალზე ცრემლის შეშრობა  
ჩემი საბრალო წყვილისა.  
უძირო ნატვრად შემყრია  
სურვილი ცის ქვეშ ძილისა;

ვერ გავიცანი მშობელი  
 ჩემი მტანჯველი ჭირისა.  
 იმის დედობას არჩიოს  
 იშვილოს ჯოხი რცხილისა,  
 მუდმივად მკერდით ატაროს  
 ბერწად დარჩენის თილისმა.  
 სიკვდილი ნატვრად მქცევია,  
 მდარავობს სვეტი ტინისა;  
 ვისაც მე კიდევ გახსოვართ,  
 ნუ დამადევნებთ ტირილსა.  
 ზემის წესი ამიგეთ,  
 მტარვალზე მთქმელი ძვირისა;  
 კვლავ აყვავება იწამეთ  
 ჩემი ფესვის და ძირისა.

7.07.1986 წ.

### პატარა ქეთის

პატარა ქეთი,  
 სარ მამის ღმერთი  
 და სიხარულის მტრედი,  
 შენი ღიმილი  
 სულ ჩემს წინ მიდის,  
 არა მცილდება დღემდის.  
 ვაი, შე გლახა,  
 სკოლაში დახვალ,  
 მამამ კი ვერა გნახა;  
 ანგელოზს გავხარ,  
 სულ ჩემს წინ დგახარ,  
 დღეს შენზე ფიქრებს გახმარ.  
 პატარა ქეთი,  
 მითხარი ერთი,  
 ხომ არ დაღონდი, შვილო?!  
 ზამთარში გცივა,  
 ზაფხულში მზე გწვავს,  
 გაკვლა მამის გრილო.  
 პატარა ქეთი,

ფიქრი ზღვას ერთვის,  
აბა, რას ჰქვია დარღი.  
ანგელოზად ხარ დაბადებული,  
არ შეგშინდეს ავდრის!

1985 წ.

### უსამართლოთა სამართალი

საღი სიცილი, თვალთა ციმციმი,  
საღი, ალალი გული;  
მწველი სირცხვილი, დარღი შინ წყვილი,  
მარილდაყრილი წყლული.  
კაცი სითბო და კაცი ალერსი,  
კაცი სიცოცხლის მეხრე,  
წამოუქციეს დანას გალესილს,  
ღმერთო, დიდება შენს მხრებს!

7.06.1988 წ.

### მზე დილეგს მიღმა

მივეყუდები კედელს ბეჭებით  
და გავიგრილებ ფილტვების სიცხეს;  
მზეს აუკრძალეს ჩემთან სტუმრობა,  
გისოსებიდან მოწყენით მიცქერს.  
თურმე ვინც ასე გაწამებულა,  
ის უკვდავების ყვავილს უხდება;  
გისოსებს იქით მზე მეცოდება,  
თუ ეღირსება თავისუფლება?

8.06.1985 წ.

### ქონდრის კაცის ტყვე გოლიათი

ქონდრის კაცის სათრეველა, გოლიათო,  
ის ქონდარა დღეს დიდება ჰეონიათო,  
არ იფიქრო, თუ მას სქელი ქონი ათბობს,  
რომ განგება ერთხელ გასამრჯელოს არ სთხოვს.

ქონდრის კაცი სკამით არის გოლიათი,  
მისი მსგავსი ვერ შეგწვდება მგონი ათიც.  
9.07.1990 წ.

## სიყვარულის მეხოტბე

მე არც არვინ მყავს საცემი,  
არც დარბევისა ვიცი რამ,  
დავდივარ ლოცვა-კურთხევით,  
სინათლის სხივი მიჭირავს.  
რად მინდა სუსტის დაწინვლა:  
ან შებრაწული წიწილა,  
მყავს სიყვარულის მეხოტბე  
ის გამიძღვება წინ-წინა...

19.12.1989 წ.

## ეს სიცოცხლე

ეს სიცოცხლე ეკლიანი  
სულ სიკვდილის ლოდინია,  
ზოგს ჯერი ადრე დგება,  
ზოგის კიდევ მოდის გვიან.  
განგებისგან მოვლენილი  
დიდი რიყის ლოდიც კია,  
მათხოვარსაც მოუძებნი  
განდიდებულ ლორდის ჭიას.  
საკუთარი სიკეთისთვის  
ყველასა სწვავს იგი ვნება,  
ძიძგილია სათავისო  
ვიღაც მიტომ იკბინება.  
ბოლოს სული გაფრინდება,  
ხორცი მტვერში განიბნევა;  
ხსოვნის ნარჩენს შეუჩნდება  
მოჯირითე ჟამი რბევად.

1989 წ.

## მწარეა-ტკბილია

მწარეა ლუქმა ცრემლის და დამცირების,  
 – წარსული სისუსტის შეგნებაზე;  
 ფრთები შემტკრეული გრიგალთან ჭიდილში  
 ფრთები სიკეთის მშვებაზე.  
 ტკბილია იმედი ბრძოლის და გამარჯვების,  
 სიმართლის ოცნების შენებაზე;  
 ტკბილია დიდება ბორკილის მესაფლავის,  
 ტკბილია ცხოვრება შენს ნებაზე.

1989 წ.

## ჭინჭრაქას

თუ გააცინებ არწივს, ჭინჭრაქავ,  
 იცოდე, ამით შორს და წინ წახვალ;  
 ხელს ნუ შეუშლი უკულმა თვლაში,  
 ნუ მოედები უდროოდ თვალში.  
 არ დასჭირდებათ, იცოდე, ფიქრი,  
 იმის გართობად მოგხვდება წიხლი.  
 ჭინჭრაქა უნდა ძლიერს მსახურად,  
 შენც იჭინჭრაქე, ემმე ნაქურდალს;  
 აქე, ადიდე უჭკო, თავნება,  
 სანამ ლაქუცი გაგითავდება;  
 თუ კუდს მოუქნევ ძლიერს, ჭინჭრაქავ,  
 არ მიგიხლიან ბედის ჭიჭლას ქვას.

7.05.1975 წ.

## სიკეთეც არსებობს

მკურნალი ერთია,  
 ჭირი კი ათასი;  
 მოკეთე ღმერთია,  
 ეშმაკებს რა დათვლის.  
 სიცოცხლე ძნელია  
 სიკვდილის კალთაში;

მუხთალის ზელია  
მოწყვეტილ თავთავში.  
რამდენი მსხვერპლია,  
ღალატით ნათარსი;  
სიკეთეც არსებობს  
ვით სხივი ზამთარში.

1979 წ.

## იოლია ნგრევა

იოლია მოჭრა,  
მთლად იოლი — მოკვლა;  
იოლია ნგრევა,  
ასევეა რბევაც.  
შეწებაა რთული  
და მორჩენა წყლულის,  
— აწიოკებულთა დამშვიდება სრული.  
მნელი არის დარგვა,  
მერე კვალის მარგვლა,  
მნელი არის შობა  
და სიცოცხლის მყნობა.

1979 წ.

## თურმე ყოფილა ქვეყანა

თურმე ყოფილა ქვეყანა,  
სადაც მგელი ცხვარს არ ერჩის,  
სადაც ველ-მინდვრებს არ ესმით  
აბჯრის ჟღრიალი არესის.  
თურმე ერთი ყავთ მეუფე  
ცხელი ისარი ამურის;  
ახლავთ სიკეთე მარადი,  
სწვავთ სიყვარულის ალმური.  
თურმე ასეთი ქვეყანა  
არის სიზმარში ნახული;  
გამოიღვიძებ, დაგხვდება

გრძნობა მტრობისგან დახრული.  
 გარეთ დარჩენილ კიდურებს  
 შემოგაღრღნიან ბოლომდე;  
 გეწვევა აზრი, თითქოს აქ  
 სტუმრად მინოტავრს ყოლოდე.  
 პვლავ ძილისაკენ გაიწევ  
 სიზმარი ნახო კიდევ ის;  
 ბედნიერების ზმანებას  
 სდიო სიცოცხლის კიდემდის.  
 1975 წ.

## რა ვუთხარ

რა ვუთხარ მე ისეთ მადას,  
 რომ არა სცნობს წესს და ადათს!  
 რა ვუთხარ მე ისეთ კანონს,  
 სიკეთეს რომ ვერა სწავლობს!  
 რა ვუთხარ იმ სურვილს შეშლილს,  
 რომ არის ძლიერის ზელში!  
 რა ვუთხარი ისეთ ამბავს,  
 სიცრუეს სიმართლედ ნაბამს!  
 რა ვუთხარ მე ისეთ სიცილს,  
 თან მტრობა რომ დასდევს ფიცის!  
 რა ვუთხარ მე ისეთ განცდას,  
 ნამუსის ხეს რომა ძარცვავს!  
 რა ვუთხარ მე ისეთ მთესავს,  
 მარცვლებს ბალდამით რომ გესლავს!  
 რა ვუთხარ მე ისეთ მოძღვარს,  
 მრევლს სისხლით და ცრემლით რომ რწყავს!  
 რა ვუთხარ ისეთ შვილს, მაძღარს,  
 მშობლების ამაგს რომ ლანბლავს!  
 რა ვუთხარ მე ისეთ ქართველს,  
 შვილს უცხოს რომ არქმევს სახელს;  
 სხვა ენით მის ქართულს ძარცვავს,  
 უკარგავს სიკეთის მარცვალს!  
 იღუმალი ბორგვა მესმის,  
 ზოგი არის მუხთლის ფესვი;

საღი სისხლის უყვარს წრუპვა  
ყველა მრუდს და ყველა წუნკალს!  
11.11.1984 წ.

## წადით, ეძებეთ

იქნებ მაჩვენოთ და გამაცნოთ კაცი ისეთი,  
მღვრიე დინებას არა ჰეავდეს მარტო ის ერთი.  
დღეს პოსტის სურვილს მონადა ჰყავს მცირე და დიდი.  
წახდა სიმშვიდე, დაეფინა გონებას ბინდი.  
ბადალი არ ჰყავთ მაღლა ასვლის მუდმივ ნატვრაში,  
მომხვეჭელობის თესლი შფოთავს იმათ ნატარში.  
ერთზე ფიქრობენ: რაც რამ დარჩა შეირგონ თვითონ,  
ამას საერთო საქმეზე ზრუნვა კარნახობთ ვითომ.  
კარგად მოეწყონ, კარგად ჭამონ, კარგად ჩაიცვან,  
საქუთარ ტყავზე ზრუნვის შმაგმა ტალღამ ჩაინთქათ.  
მაღალ სამყოფელს ხალხისთვის რომ შვებად გადაშლის,  
წადით, ეძებეთ! ვერ იპოვოთ ერთი ათასში!  
სიმაღლე უნდათ, ათრობთ ქება თავზე საყარი,  
ამას ოცნებობს ჭკვა თხელი თუ ჯანით საპყარი.  
ჩაუძერ სულში კორუფციის უგულო მონას,  
ნახავ ცარიელს, ვერ იპოვი სითბოს და წონას;  
სახელი მხოლოდ მას თავისი მადისთვის უნდა,  
საერთო საქმეს ანაცვალებს ამ მიზნებს მუდამ.  
წადით, ეძებთ! განდიდებულ კაცის სათავსი,  
სკამს რომ შვენოდეს ვერ იპოვოთ ერთი ათასში!  
უმრავლესობას ჭკვა და სიბრძნე სკამა შესძინა,  
რაღვან განგებას მათოვის ეს სიკეთე ეძვირა.  
ღვარძლის გარეშე უდღეურნი მორცხვად არიან,  
ნახავ, შეიცნობ, დაღის, მაგრამ ცოცხალ მგვდარია.  
ჩაგრულს მაღამოს რომ უწინდებს საქმის მართვაში,  
პოსტები ჩხრიკეთ, ერთს ვერ ნახავთ ათი ათასში!  
ჩირაღდნით ვძებნოთ ვინც სიმართლის სანთლად ანთია,  
ვისაც სიკეთე, — სიყვარული ყავდა ნათლიად.  
ხალხის სამსახურს რომ მიუძღვნა გულთქმა ნათელი,  
თავის საქებად გააძვირა სიტყვა სათქმელი.

Սամժոծլոս շմբլվնա անտեծյուլո ցրմենօնա და նեბա  
աջամանյար Տանձուս Տյշրիս Տօւութելուս Մշշեալ.  
Ծագոտ, յժեծյուտ, նալդո զակո ասո առաւշո,  
Տուշտուս Տեշոյուտ ցամութրդուլո Տալես յալուամո,  
մոյցուտ նօրնա და մահալու որմերոյ նալյեսո,  
րոմ Մշշեալ յետուս յցուութուս նայեալ լամեշո!

14.02.1972 ՞.

### **ՖԱՐԻ-ՖԱՐԱԼՈՒԹ**

Ես լուսարկեա արամու  
Տանձու յրտ Ծյուտս ար արուո,  
ծորությունս մոամացը,  
Տուշտուս դուս միարացու.  
Մշշեալ արևած ար արու,  
դցաս լուցքուս յարացու,  
յցելա յարցուս დա յցտուլուս  
մոմսենօն და միարացու.  
Ֆուզա, նյ Տար ալոալուո,  
ոյազ լուսուա լալալուո,  
մեշյյ լույկմաս մոցցեմեն და  
Մշնց տյշո, Ֆարի-Ֆարալուո.

2.05.1973 ՞.

### **ՄՈՈԾՐԱԿԵԼՈԱ**

Մոուրակելոա, յիշես,  
լուամունա Ծյուես,  
Ծոնչուլյու Մշյացս  
Տայատմեշո յրուես.  
յցելա յցուուս տացւեմաս,  
— լուարույուս Մլլյացս დա յիշես;  
միշ Մշեօքա լուալգմամ,  
լույ մոացացս միշերս,  
մոուրակելոա, յի!  
Կա ծորցացս დա Ծյուես.

2.05.1966 ՞.

## მოდის მათხოვარი

ჯოხით გამოჩნდა ერთხელ მათხოვარი,  
 ზურგზე დაძნძილი ტომარა ეკიდა,  
 ბევრი არ უნდოდა, ან ვინ რას მისცემდა,  
 გარიყულს ამა ქვეყნიდან.  
 მდიდარმა ზიზღით ძაღლი მიუქსია,  
 სული შეუშფოთა საცოდავს,  
 ფეხით გადათელა სიცოცხლის გაბრძოლება  
 სხვისი გაჭირვების არ ცოდნამ.  
 ღარიბმა შეიფარა, თავისთან მიიყვანა,  
 მცირედი ლუკმაც გაუყო,  
 ესმის ამ ცხოვრების ტკივილი, ჭირ-ვარამი  
 მაგრამ რომ ვერ შველის, რა უყოს?!  
 მიღის მათხოვარი სოფლის ორლობეში,  
 იმის ფეხის ხმას უსმენებ;  
 ზოგნი მოწყალებას, ლოცვით სთავაზობენ,  
 ზოგნი კი ძაღლებს უქმევენ.

30.07.1964 წ.

## მაგან მაგანს

მრავალ-მრავალს, ეტლით მავალს,  
 გაბებლვილს და მთავარ-მთაარს,  
 თუ ვერ ატყობ მის თავს ყავარს,  
 მანც ნუ დაუწყებ დავას.  
 იცოდე, რაც რომ ბეცია,  
 მით უფრო მხეცზე მხეცია,  
 ათას ცოდვას დაგაბრალებს,  
 მიხვდები, არ თქმა გერჩია.  
 თავს თუ სარქველი აკლია,  
 თან არაფერი არ ყრია,  
 გულახდილ, ბრძნელ დარიგებას  
 შიგ მხოლოდ ნაგვად ჩაჭრიან.  
 მით საშიში არის კაცი,  
 ცრუ დიდება რომა კაწრის,

ჭკვიანს და ბრძენს თავის გვერდით  
 არ ახარებს, ვიცი დღემდის.  
 მრავალ-მრავალს, ეტლით მავალს,  
 მავანსა და ოუნდაც მავანს,  
 შეუცვლიან ნანატრ ჰავას,  
 ლაფუში ჩაუყოფენ გავას.

11.08.1965 წ.

\* \* \*

კუნტრუშებს ციკანი,  
 ახარებს ნეკერი,  
 დანას კი პირს უწყობს  
 ტიკჭორის შემქერი.

29.07.1985 წ.

### წუთისოფელი გრძელია

მუხთალი არის ქვეყანა,  
 დღე დამით გაიყიდება,  
 სიტყვა მახვილად ნათქვამი  
 დალატით გაეტიღება.  
 სისხლი ერისოვის დაღვრილი  
 ტყემლის წვნად დაიწრიტება,  
 ძალა მთის დამანგრეველი  
 ბერის რყენად დაიშრიტება.  
 მზესთან შობილი ჩანჩქერი  
 ჭაობში გაიჭყლიტება,  
 დიდი მოძავლის გზა-შარა  
 დალატით გაიწყვიტება.  
 თავისუფლების სურვილი  
 ცრუ ქებად გაიცვიოება,  
 ათასი ცოდვის მტვირთველი  
 წმნდანად გაიჩითება.  
 წუთისოფელი გრძელია,  
 ყველა მთხლე დაიწმინდება,  
 ერის მუხთალი თესლი კი  
 სირცხვილთან დაიწინდება.

13.02.1994 წ.

## მე რა მაშინებს

მე რა მაშინებს, როცა თვით შიშმა  
 შეუპოვრობის წყალი დალია;  
 მე რა მატირებს, როცა ტირილი  
 სიძლერის გუნდის პატარძალია.  
 სიკვდილს მივდევდი ვერ დავიჭირე,  
 უკვდავებასთან გადამვრალია;  
 დიდი და მცირე ტაძარი ვნახე  
 სადაც გამქრალი ნატაძრალია.  
 შიში არა მაქვს, წახდა ტირილიც,  
 ვუცდი სიძართლის ძის დაბადებას;  
 სინათლეს მივგვრი გასაკიცხავად,  
 უსამართლობით რაც დამბრალდება.

5.04.1985 წ.

## ნიავმა ჩაიდუღუნა

ნიავმა ჩაიდუღუნა,  
 შველი გაურბის მტერსაო,  
 საცოდავს მგლის ხროვა მისდევს,  
 გზაზე აყენებს მტვერსაო.  
 გთხოვთ, შეიფაროთ ეული,  
 ბინა დაუდეთ თქვენსაო,  
 კაცია მართლა კაცური  
 ჩაგრულს ვინც უწევს ხელსაო.  
 გერჩიოთ მგლის შერკინება,  
 დადგომას ცოდვის მოწმედა,  
 გწამდეთ, სიკვდილმაც ვერ შემლოს  
 მსგავსი სირცხვილის მოწმენდა.  
 დღეს შველს შეჭამენ, — ხვალ მოზვერს,  
 ზეგ ჯოგი აღარ ეყოფათ,  
 ბოლოს კბილებით დახრავენ  
 ობივატელურ თქვენს ყოფას.  
 ებრძოლეთ ყველა მტაცებელს,  
 ავს ნუ გაიხდით შეჩვევად,

თორემ თუ გაგინებივრდათ,  
დასაგლეჯად თქვენს გეწვევათ.  
26.11.1975 წ.

## დუმილი

იდგა დუმილი ცრემლიანი  
სასაფლაოთა თავზე,  
დარდი ყორნისფრად მობუდული,  
შავი დაფენილი შავზე.  
სადღაც წერაქვი დაქანცული  
დროდადრო თხრიდა მიწას,  
ხახადაფრენილ სიბნელეში  
მსხვერპლის ძოლოდინი იწვა.  
სულის შემხუთავ უძრაობას  
წერაქვმა მისცა ბზარი,  
მისი კაკუნი ცივ მიწაზე  
რეკდა ვით გლოვის ზარი.  
ზოგ საფლავს ბორცვი დაეკარგა  
შემორჩენოდა ჯვარი,  
ზოგს მარმარლო ამშვენებდა,  
ბედი თან ახლდა მწარი.  
უთანაბრობა ამ ცხოვრების  
მარტო მიწის პირს სწამდა,  
დაბლა კი ყველას ერთნაირად  
მშიერი მიწა ჭამდა.  
იდგა დუმილი და მის მკერდზე  
წერაქვი რეკდა კვნესას;  
ვინც გაჩენილა უეჭველად  
წასვლის სამსალას შესვამს.

7.11.1988 წ.

## მტერის ნაწილაკი

მზერა გადიქცა მოლექსედ  
თავს დამხობილი სივრცის,  
მოწმენდილი ცა მომეცეს,  
შევხვდე ვარსკვლავთა ციმციმს.

ლამეა, მოვარე არა ჩანს,  
 ზეცას ოცნება კენკავს,  
 გულმა ფართხალი დამარცვლა,  
 ფიქრებს მოცდენით ვპენტავ.  
 სამყაროს მტვრის ნაწილაკი  
 ბედს ართავს დედამიწა,  
 მე მისი ძე ლაწირაკი  
 მივდევ სიცრუეს ვინც წნავს.  
 ვშვილობოთ, ვიხვეჭავთ, ვაგროვებთ,  
 გვებრძვის გვალვა და ყინვა,  
 სიცოცხლეს ცოფით ვაგორებთ,  
 გვიყეფს ოხვრა და გმინვა.  
 ვლოცულობთ, უფალს ვაწუხებთ,  
 გვსურს, ჩვენი ჭკუის გახდეს,  
 ვჰედავთ ბორკილს და მარწუხებს,  
 ჩვენი ურგები წახდეს.  
 შეგვეძლოს, მზესაც შევძრავდით  
 მიეთ-მოეთით ფუჭით,  
 დედამიწასაც შევჭამდით,  
 რომ დაიტევდეს კუჭი.  
 უსასრულობის ხახაში  
 გალაქტიკები ბრუნავს,  
 მტვრის ნაწილაკის დახვრაშიც  
 განგების თვალი ზრუნავს.

20.12.1997 წ.

## ჯავრი გულზე დამაყარეთ

ჯავრი გულზე დამაყარეთ,  
 ყველა ბილწი მართალია,  
 ჭირის ხვნეშით გამამწარეთ,  
 დღე სიკვდილის ფართალია.  
 დევთა მოდგმა აიშალა,  
 გხედავ ცხრა და სამ თავიანს,  
 ყველა წმინდა დაისვარა,  
 ირგვლივ ნარის თავთავია.  
 ძნელბედობის უმი გვსუტავს,

մոլորա Շեշտիւթեան մէսատ արօան,  
 մոլորա Ծաղկութաց, պէտութաց,  
 ծաղկութաց գալարուա.  
 զարդար գալուան ցըսլու պայտաց,  
 մոլորա կոմ Շարտացա,  
 յրու սար և սեսկու պայտ ուշացաց,  
 այ Ֆայելուց Ֆամտարու.  
 մոնդորս մոեան յնաթրեա,  
 մագլուց հրիտանու սարտացա;  
 և սուրբու տյմու յնա պահեա,  
 մանց պահենու յարտացան.  
 յեղծ ցանու արամիանա,  
 վիմոնդանեան ունա արօան,  
 սարտանաստան գալածրմանա,  
 սայմու յեռաց մոլորա արօան.  
 ածա, հյարա, քյորո, քյորո!  
 ճայի պրեմլու ար ճալուա,  
 ճայի պրեմլու տացի քյորո,  
 ֆաթի մրութա սարդալուա.

13.12.1997 թ.

## ա և յ և

Եայցեցու և մորս ճապեմլու  
 ըալորա յնձա ճանութելա,  
 ուցանու զենուրա գայուրուն,  
 յանուացու, բոմ յացու նար.  
 նյ ճայմլու մկու սոնարյուլու  
 նայմեան և նայուսարս;  
 ամ յեռացրեան օկու ծաղրո  
 լահարո և հարի յաց.  
 արշան օցու, ծաղու ծրուցա  
 մենս յուսերի րաս օկմարս,  
 կոմ կուաց, ճայուանճելոնաս  
 յութոնդելու ա և լու երաց.  
 նամյան ու ար մոյուրուն կոլու,  
 ճայի հասցրո ան նոյեաց,

განგება რწყევად გადგიქვევს  
 ბოროტების კასრით ფლავს.  
 5.06.1996 წ.

## დედას

აქვს საზრუნავი ბევრი,  
 – გულის მჭამელი სევდა,  
 არის წამალი სულის,  
 სახელად ჰქვია დედა.  
 სიცოცხლის მოტრფიალე,  
 იმედს და სითბოს ბადებს,  
 დაუნდობელმა წლებმა  
 მის თმაში თეთრად ბარდნეს.  
 აქვს უამრავი დარღი,  
 შვილების ჭირს რომ ხედავს,  
 ცხარე ცრემლებად ღნება,  
 ჰქვია მშობელი დედა.  
 ვინ დათვლის, ვინ გაიგებს,  
 ის ტანჯვას ხომ არ ამხელს,  
 ყველა ნაოჭად რჩება  
 მის ანგელოზის სახეს.  
 ჭირვარამს, ავდრის სუნთქვას  
 გრძნობის სიმებით ხვდება;  
 ყველას ტკივილი სტკივა,  
 ყველას სიკვდილით კვდება.  
 ანთია, შრომობს, იწვის,  
 არ ქრება, არცა ცვდება,  
 სიცოცხლე არის, მიტომ  
 მარად უკვდავი რჩება.

6.08.1995 წ.

## დიდება ქართველთა მზეს და მიწას

მებრძოლი ხალხის გაღიმებავ,  
 მძიმე გზის დიღებით დაღვინებავ,

ნაკურთხი მიწის გაზაფხულო,  
გულო, ოცნებებით დაზაფრულო;  
წარსულო, ბრძოლებით გადაღლილო,  
ტანჯვის დღევ, წიგნებად გადაშლილო;  
სისხლით გაპოზილო მთავ და მდელო,  
ვერ მოგსპეს, კვლავ გქვია საქროველო!  
ამაყი ყოფის და გარვის ჩვევავ,  
მაღალი კულტურის მაჯისცემავ,  
ენავ, მდიდარო და მაღლიანო,  
მწერლობავ, ძველო და ადრიანო;  
შრომაზე დამყნობილო სიხარულო,  
სტუმრის და მეზობლის სიყვარულო;  
თამამად რომ იბრძვის ასთან ათი,  
ეს არის ქართული ხასიათი.  
სამშობლოსათვის თავდადებას  
აქ ეტრფის ყოველი დაბადება;  
წინაპრის სასოებით გახსენება,  
მომავლის იმედით დასვენება,  
აწმყოში სიკეთის დაზვავება,  
შვილების მოვლა და გახარება;  
სხვა მიწას ვერაფრით ეგუება,  
ქართული სამშობლოს ერთგულება.  
აწამეთ, სიცოცხლე დაუშალეთ,  
მის რწმენას ვერაფერს დაუშავებთ;  
სისხლში აქვს სიმართლის გაცინება,  
ვერ ითმენს ჩაგვრას და დამცირებას;  
არ უნდა სამოთხე ნებიერი,  
თავის მიწაზეა ბედნიერი.  
სიმართლე სწამდა და კვლავ დაიცავს,  
დიდება ქართველთა მზეს და მიწას!

29.10.1984 წ.

## ხევსურეთში

ხევსურეთში კვლავ იწვება მწვადი,  
ხევსურეთში კვლავ ხინკალს ხარშავენ,  
ლამაზ ასულებს სიყვარული სწვავთ,  
მოხუცები კი ბაწარს ართავენ.

მთებს, ღრებლები რომ წვერით უჭირავთ,  
 ცხვრის ფარები კვლავ მძივად ჰყიდიათ,  
 ციცაბო ბილიკს ჩლიქით კეცავენ,  
 ბლავილითა და ხტომით მიღიან.  
 სახლში, აკვანთან ქალი მზის დარი  
 პირშმოს უმღერის ამბავს საამოს;  
 ბუხარში ცეცხლი ჩაუქრობელი  
 ესაუბრება მოვლემარ საღამოს.  
 ვაჟქაცი მოდის შრომით ნაწროობი,  
 ოჯახის სითბო ძარღვებში დნება,  
 მეუღლე ღიმილს ნოხად დაუგებს  
 და იდილიის წუთები დგება.  
 ხევსურეთში კვლავ ხარშავენ ხინკალს,  
 ჟიპიტაური ბორგავს თავნება,  
 შთამომავლობა ჩამდგარა რიგში,  
 ვეფხვების მოდგმა არა თავდება.

1981 წ.

## უმხედრო ცხენი

სისხლით გაბანილ ბრძოლის ველს  
 დაისის ჩრდილმა დახედა,  
 მომხდურთა გროვა ეყარა,  
 ქვეყნის დამცველთა სახელად.  
 ვაჟქაცი იწვა დაჭრილი,  
 სიო მის ქოჩორს არხევდა,  
 მკერდდაისრული, ნახმლევი  
 ცოცხალი იყო ნახევრად.  
 ცოტა ხნის წინათ აქოჩრილ  
 ველს მყუდროება ებურა,  
 ყვავის ზეიმის დრო იდგა,  
 დაბრძანდებოდა მეფურად.  
 სიკვდილს ესტუმრა სუყველა,  
 ვინც კი ის სხვისთვის ატარა,  
 მიწას ნაყოფი წასტაცა  
 მტარვალთა ფეხის ნატარმა.  
 ბევრი ვაჟქაცი შერჩა ველს

Նույուշելուսատվուն դաշտա,  
 մաշրամ սամշոծլու ցագարին,  
 օխարեցն դռնեց և դամեցա.  
 Շունքո, սատեզեցո, ցար-քմալո,  
 շանցուն մեսանշուն կծոլու պահուած,  
 ծեղութերալու մոմեցուրեցն  
 դաշտունցուն սամեսուն պահուած.  
 Ծագութունցուն տաշտան մերանո  
 Նոմիշունցան ծալածն წունիուած,  
 პատրոնն զերագուրն Շալուած,  
 ցալուածատութելու ուղուած.  
 Վայսացու ցեղեց մույզերա,  
 մանաց ցայցը վաճուած,  
 ցայցը մունիւա, Շետեռազուած,  
 նշան Շեսչազուած յագուած.  
 ման յու մկարուած մուեսնա  
 ցանիուած ցարուած,  
 կուսերն ջուած վալուած  
 Շեած յալուն մանցուած.  
 Սաթրու օմեցուած դագուած,  
 յնուու մոմացլուն աւսու,  
 ծեցնուերեցն պահուած,  
 տացն ցալուածատ մասնու.  
 մաշրամ ծրմուած զելու Շեմորին  
 սամշոծլուն մպաշուն սանելած,  
 Շենից նույուշելուն նյումու,  
 դրու ցայսոնա, ցանցուած.  
 Տանու վաճուած, ցրոցուլ ցեղեցն  
 Նշանու հուրիւլուած այսնա;  
 ծոլու վաճուեցն ցայէլունց,  
 նշոնու ձագունց ցայմուած.  
 ցեղենմա ձայնուսա մեռմարս,  
 նոյզուածու ուզալուած օխուած,  
 ազու նշուած Շեաբուու  
 ցալուածամցմուած ჭոնչունմա...  
 մերանու, սագ մոցայրուած  
 եց նույուշելուն մանցուած,

ან სად დაკარგე მხედარი,  
 მტერს რომ უტევდა ამ დილით?  
 ნუ ჩქარობ, იქნებ შეჩერდე,  
 გთხოვ, იმედსა სცე თაყვანი,  
 გჯეროდეს, რომ შენ იქნები  
 უბედურების მაყარი.  
 ვინ იცის, იმისი სატრფო  
 მომავალს როგორ დახარის,  
 ეგ სისხლიანი მანდილი  
 იქნება მისთვის ლახვარი.  
 დაუ, იმედით იცოცხლოს,  
 მიმქრალ ციმციმს ნუ ჩაუქრობ,  
 შენ კი სხვა გზაზე იქროლე,  
 ეგ დაგებედა, რა ვუყოთ!

8.02.1965 წ.

## ქიზიყელს

ჰე, ქიზიყელო, უთქმელო;  
 უდრეკო, მუხის ჯიშისავ,  
 წყალნი წავიდნენ, კვლავ წავლენ,  
 ბედი გრგებია ქვიშისა.  
 ადრევე ბევრი ტყვედ ყავდა  
 შენი დაბრყობის შიმშილსა;  
 ხმლით და მათხრახით მოსულებს  
 გემო აგემე შიშისა.  
 დაუღალავად მთესავო  
 მტრების ვაის და ვიშისა,  
 შხამად შეარგებ ჭურმნის წვენს  
 მართალ სიტყვას ვინც გიშლისა.  
 პოი, როგორ გძულს ლაჩარი  
 აქ შენი, იქით სხვისიცა;  
 მოღალატე არ დაინდე  
 ომით მოსული მტრისიცა.  
 მშობელი მიწის გუშაგო,  
 წვეთო წინაპრის სისხლისა;  
 ხმაში ფოლადი გიწივის  
 სარეველებზე რისხვისა.

ასე გაგზარდეს და დედაც  
ამ ხმაზე აწროობს შინ შვილსა;  
არ აბოგინებ სიმუხთლეს,  
კერძად მოუგებ სირცხვილსა.  
ჰე, ქიზიყელო, მღუმარევ,  
გომბორის მუხის ჯიშისავ,  
წყალნი წავიდნენ, კვლავ წავლენ,  
ბედი გრგებია ქვიშისა.

27.01.1994 წ.

## სიღნაღეს

ქალაქი, ღიმილის დაბადება,  
ლამაზი სიზმრების სინამდვილე,  
განთიადის სხივს ჩაიხუტებს  
და ოცნებებზე ინადირებს.  
ქალაქი, სითბოს და სინატიფის  
უნაზეს გრძნობებთან დაზმანება,  
წარსულის ეშნის მაჯისცემა,  
ძველის ახალთან დაზავება.  
ქალაქი ცის თაღთან შეტოლება,



ალაზნის ნისლებზე ამაღლება;  
 გალავნის ხავსიან ცივ დუმილთან  
 პირქუში ჟამთასვლის დანაღვლება.  
 ქალაქი, პატარა მარგალიტი,  
 ქუჩების სურნელი ვარდიანი;  
 სიღნაღი საკანე ბულბულების,  
 ქართული სიკეთე მაღლიანი.

1981 წ.

## მოვა დრო

ალაზნის ველს ნისლი ახრჩობს,  
 ლეკის მთაზე თვლებს სიზმარი,  
 მზე სიღნაღში დაბრძანდება,  
 წნორს დაეძებს ბნელში მგზავრი.  
 ცივომბორის ქედის ძირში  
 სოფლებს სძინავთ ამ ზღვის ფსკერზე,  
 შეყინულა ზამთრის დიღა,  
 ახალი წლის ნაძვისხეზე.  
 უძრაობა და დუმილი  
 სახლებს ბოქლომივით ადევს,  
 ხვალინდელი დღის ზმანება  
 მკრთალ სინათლის რწმენას ბადებს.  
 მოვა დრო და ქიზიყელი  
 ნისლის ნაბადს მოიცილებს,  
 მუმლი მუხას დაიმლერებს,  
 ავ დღეზე არ მოიჩივლებს.  
 ადულდება ვაზის წვენი,  
 გაეხსნება ბულბულს ენა,  
 ნისლი კვამლივით გაქრება  
 ვით გამქრალა იგი ძევლად.  
 როგორც კრუხი წიწილებში  
 სიღნაღში კვლავ გაერევა,  
 მოიკრებავს სოფლებს ირგვლივ,  
 არასოდეს დაებნევა.

22.02.1985 წ.

## ფეხმარდი ცხენი

ფეხმარდი ცხენი, მხედარი ფიცხი,  
 ტანზე აბჯარი, რწმენაში ფიცი;  
 შუბი წვერბასრი, ხმალი ნაწრთობი,  
 ცაში თავისუფლების მნათობი.  
 გული ცხელი და რვალზე მაგარი,  
 სული კეთილი უფლის მაგვარი,  
 სიცოცხლისაკენ რწმენა, ხალისი,  
 სამშობლოს უძღვნას სუნთქვა თავისი.  
 ბედმა ამგვარი სხივით ინათოს,  
 ვაჟკაცმა სხვა რა უნდა ინატროს;  
 მამულისათვის ვინც თავს გასწირავს,  
 წინაპრის ღირსი ჰქენია კაცი მას.  
 ფეხმარდი ცხენი, მხედარი შვენის,  
 ლომბულო, გიხმობს სამშობლო შენი;  
 დე, იზეიმოს ტურფა ქვეყანამ,  
 მტერმა იგემოს მოქნევა ცელის.

14.09.1966 წ.

## მაჩვენა თვალთა ფერია

სხეული თიხად შობილი  
 ვიცი, ნელ-ნელა გახმება,  
 როცა იმედი გაქრება,  
 სული მოითხოვს გაფრენას.  
 ტანჯვაწამება ნაგემებს  
 არ მსურს ამქვეყნად დარჩენა;  
 ნეტავი ახლა, ნეტავი  
 შენი ღიმილი მჩევნა.  
 მაჩვენა თვალთა ფერია  
 და იმედების გაჩენა  
 აღარ ჩავთვალო სიცოცხლე  
 სოფლის ტვირთად და ნარჩენად.  
 შენ,ჩემი წყლულის მალამო,  
 ტანჯული შეგრჩი სარჩენად,

ჩემი ხარ, ჩემი – ოცნებით,  
არვინ ჩავთვალო სხვა ჩემად.  
1997 წ.

### იმედის ეშნი

იყო ყვავილთა კვირტი,  
იდგა იმედის ეშნი.  
სითბო ებრძოდა ზამთარს,  
კუნთს რომ ყინავდა ხეში.  
დღე ახუნებდა ღამეს  
წმინდა სინათლით ხელში;  
ლვინო სიკეთეს ქსოვდა,  
ბოლმა ბორგავდა თხლეში.  
მზე ღიმილივით მწველი  
ტურფა ასულის თვალთა,  
სიცოცხლის გარიურაჟზე  
ეფერებოდა თავთავს.  
სისხლში ჩამდგარი ცეცხლი  
თვით სიხარულზე მალი,  
ბორგვით ითხოვდა საგზურს,  
დუღდა ცოდვა და ბრალი.  
1997 წ.

### მალე გნახავ

დილამ ღამე გაახუნა,  
მუდამ ბნელი არ ნახულა;  
ვფიქრობ ისევ, შენს ხმას ვისმენ,  
მკვებავს ის მე.  
სიცივეა ტახტზე ჯერა  
გაზაფხული შეაჩერა;  
გრძელი დაცდა  
ნელა გაცვდა,  
მათბობს განცდა;  
თან გაყვება ზამთარს დარღი,

იმედის მზით გავთამამდი;  
 კვირტი ძღება,  
 წყლული ცხრება,  
 სიხარული იბადება.  
 ნიავის ფრთით მოგეფერე,  
 ბაღში ერთად მოვკრეფთ ფერებს;  
 ტყვე ვარ შარის,  
 ვპერავ ხალისს,  
 მჯერა ხვალის.  
 ეს ღრუბელი იფანტება,  
 ცისარტყელა იბადება.  
 რწმუნად მყავხარ,  
 მალე გნახავ,  
 მალე გნახავ!

25.04.1987 წ.

## ჩემი წაწალი

ვეღარ ვიზილე ჩემი წაწალი,  
 სულ მოვიარე მთები რაც არი;  
 კპლავ იმას ვეძებ გულის ფანცქალით,  
 ღადარი ქრება, ვრჩები ნაცარი.  
 მივდევ ხეობებს, ვკეცავ ბილიკებს,  
 ვბუგავ ჯადოებს, ვამსხვრევ თილისმებს;  
 ძმობადა ვთესავ კლდეზე დილის ხმებს,  
 იმის პასუხად ეხოს ვინიშნებ.  
 გადავაჯდები პეგასად ღრუბელს,  
 შურისძიებით გავივსებ უბეს;  
 ვიკერავ რკინის პერნგს და წუდებს,  
 სიკეთის მაცნეს გულის კარს ვუღებ.  
 არ ვერიდები მუხთალ ქარაშოტს,  
 სათქმელს სიცოცხლის ფეთქვას ვთავაზობ;  
 ბედის დაცინვა ჩემს წინ თამაშობს,  
 დრო მოვა, მივცემ საზრდოდ თანატოსს.  
 თუ წავიქეცი მეზით დამწვარი,  
 მაშინ მიზილავს ჩემი წაწალი,

არ დამჭირდება სხვასთან წანწალი,  
უნიქტი ახლად შობას მასწავლის.  
1996 წ.

## ან გამიშრე სისხლი

შენზე ფიქრმა დამღალა,  
თუ ოცნება გაცვლა?  
გულის ძარღვი დამზარა,  
ზღვად ქცეულა განცდა.  
იქნებ მითხრა მართალი  
სიტყვა როგორც ელდა:  
რომ ჭკუა მაქვს რამ მთვრალის,  
რომ შემშალოს სევდამ.  
იქნებ სიბრალულია  
დღოს უქმად რომ გართმევს?  
ხარკის ვხეჭა სწყურიათ  
ტანჯვის დღეთა მართვებს.  
მე კი ჩემს ჭირს მივათრევ  
ვით ეული ხარი,  
ან შენდობას მივაღწევ,  
ან ჩამყლაპავს ხრამი.  
შენზე ფიქრი მაბნელებს,  
როგორც მწვერვალს ნისლი,  
ან მამთხვიე მაგ ხელებს,  
ან გამიშრე სისხლი.

23 მაისი 1996 წ.

## წითელი ღაწვები

წითელი ღაწვები,  
თვალები დათაფლული,  
კოცნაზე ნაწები  
ბაგეთა გაზაფხული.  
ტანი გავსილი ვწების დამწიფებით,  
ტრფობის გამოჩენას

წვდები გაწითლებით.  
 გნახავ, დავიძნევი,  
 გული დაფეთდება,  
 ვულგანს მიგამსგავსე,  
 ვუცდი აფეთქებას.  
 უტკბეს მყუდროებას  
 მკერდში რომ ინახავ,  
 ლოდინს უსასრულოს,  
 გოგოვ, როდის გავხარ.  
 ვიცი, აენცები,  
 ვიცი, დაიწვები,  
 ერთად დავიფერფლოთ  
 ტრფობანაწვიმები.

9.11.1988 წ.

## გახუნებული ოცნება

სიყვარულმა რომ ასე გამათბო,  
 სიცოცხლის ჟინით ამიყოლია,  
 ჩემი ცხოვრების ტკბილი დღეები  
 შენი გაცნობის თანატოლია.  
 ოცნება ამყვა გახუნებული,  
 დილის ცრემლები ნამი მორნია,  
 სიზმარსა ვთხოვე შენთან შეხვედრა,  
 დამტოვა, თან არ გამიყოლია.  
 გამოპეტილი ვუცდი აღსასრულს,  
 სიცოცხლის ხმა არ გამიგონია;  
 რაც დამრჩენია მწარე დღეები  
 ერთთავად ყველა დამის ტოლია.  
 ჩემი მოსპობის პირქუში ლანდი  
 თავხედი მტრების მარცხის სწორია;  
 ვაი, თუ ბოლოს ვეღარა გნახო!  
 ფიქრებითაც კი ძალზე შორია.  
 კარგად თუ მყავხარ, სული ზემობს,  
 გულის გაყინვა არაფერია;  
 სიო მოგიტანს ჩემს ბოლო ამბორს,  
 თუმცალა ბავით არა მჭერია.

შავს ნუ ჩაიცვამ, გლოვა არ გინდა,  
სულ იზეიმე, ჩემო ფერია!  
უფალი ბოლო თხოვნას მისრულებს,  
შენთვის სიცოცხლის ჰანგებს მღერიან.  
ოცნება ამყვა გაზუნებული,  
დილის ცრემლები ნამი მგონია;  
სიზმარსა ვთხოვე შენთან შეხვედრა,  
დამტოვა, თან არ გამიყოლია.

მაისი 1984 წ.

## ნუ მიწყრები

ნუ იფიქრებ, ფერიავ,  
ჩემზე ავს და ძვირსა,  
არ გამწირო, პატარავ,  
მე დალატის ღირსად.  
ვერ შევძელი მენახე,  
ტყვედა ვყავარ ჭირსა;  
არ გამწირო უბრალოდ,  
მძიმე სენი მჭირსა.  
იქნებ ჩემთვის გაცივდი,  
გული გექცა სხვისად?  
ვერგონ ნახო, გჯეროდეს,  
ჩემი ჩრდილის ღირსად.  
შენზე ფიქრით ოცნებამ  
დილის ნამი დალია;  
სული გაწამებული  
სიყვარულით მთვრალია.  
რა ვუყოთ, რომ ამჯერად  
ბედი ჩემზე მწყრალია;  
გვალვას ოფლით დავაცხრობ,  
კვლავ ვახარებ მწვანიანს.  
დღეს ლოცვებით გიკრეფავ  
ულამაზეს ყვავილებს,  
ყველას გზაზე დაგიფენ,  
თან ერთსაც არ წავიღებ.  
ნუ მიწყრები, პატარავ,

სიყვარულის მწირსა,  
სინანულად არ გექცეს  
ის, რაც ჩემგან გწყინსა.  
ჩემი სიტყვის თუ გვერა,  
იას უძღვენ ლექსი,  
როცა მნახავს გადმომცემს,  
მისი ენა მესმის.

15.08.1985 წ.

## თვალთა ფერიას

თვალთა ფერია გადამფენია,  
მკერდზე ვარდები რა სათქმელია,  
ათასი ფიქრი, უამთასვლის ფიფქი,  
შენს ოცნებასთან დასათმენია.  
მმიმე ლოდები, წლები გოდების,  
თვითონ ჭაღარაც გასათელია,  
როცა წუთები შვება უთმენი  
შეხვედრის უამთან დასათვლელია.  
თვალთა ფერია გადამფენია,  
შორიდან ტრფობა გადამფრენია,  
სხივთა ციმციმი, ლალი სიცილი,  
დუნე სიცოცხლის გადამრჩენია.

18.05.1996 წ.

## სარკმელთან

კვიპაროსის კენწეროებს  
ქარი ისევ აწვალებს,  
ფანჯარაში სურს შეძრომა,  
ვერ ისრულებს საწადელს.  
მამლებმა კი შუალამის  
სადღეგრძელო დაცალეს,  
მთვარემა და ღრუბლის ფთილაზ  
კოცნები კვლავ გაცვალეს.  
შენს საკრმელთან ლამეს ვათევ,

ყინვის თვალი მდარაჯობს,  
 ვიცი, გძინაგს, ჩანგზე ვმღერი  
 და სიზმრებად გთავაზობ.  
 ქარი ღმუის, მავთულებზე  
 ფრთებს იმტვრევს და იმთელებს,  
 ხან ძალუმად მეც შემიღრენს,  
 თოვლის ნამქერს იშველებს.  
 ჩემი ხმები სულ დაახშო,  
 სადღაც ხევში ატარებს,  
 სიყვარულის ნაზ გულისთქმას  
 შენს სმენას არ აკარგებს.  
 ვეზვეწები, დაისვენოს,  
 დამღერება მაცალოს;  
 იქნებ შევძლო, რომ ოცნება  
 მაგ სიზმრებზე გაგცებალო.  
 არა, იგი უგრძნობია,  
 ყურს არ მიგდებს პატარად,  
 ღრუბლის ფთილა გაიტაცა  
 და მთვარესთან გაყარა.  
 ახლა ქარი არ ისვენებს,  
 დარიც მალე იქნება,  
 შენს საკრძელთან ვპოვეთ ბინა  
 მე და ჩემმა ფიქრებმა.

18.04.1984 წ.

### ვილოცებ ნინოზე

ჩაიქრა ცხელ მკერდში ღვინომ მზე,  
 ხარობს და იცინის ნამი ცის;  
 ნინოზე, ვილოცებ ნინოზე,  
 გული დაღლილი დაიცდის.  
 ვინა ხარ? ვისი ხარ? ვიში ხარ!  
 სიცოცხლე — სითბო — და ალერსი;  
 ჭირის დღე ოცნებებს მიწისლავს,  
 გონების დაცინვის არ ესმის.  
 ვინა ვარ? ვისი ვარ? ფიცი ვარ!  
 მიცნობენ სიცოცხლით გალეშილს,

շլույզով, և անտեղու միջորազե,  
Նեցած կը պորհած წեցէ տալլեթի.  
Իս զոտեռա, զի՞ն մինդա, Ի՞ մինդա?!  
Ծաճչուլու մոշելլար լամուգան,  
Մեշուր զոյլու წյալլալեծ մալամուգ,  
Քաջուղա և գավեր տազուղան.  
Իսակրա լույս մկարդի լազոնք միջ,  
Տարու և օւսոնի նամու լուս;  
Նոնոնչյ, զոլույթ նոնոնչյ,  
Հայուղու և նոյնուղու լուցուղու!»

18 Հեկտեմբեր 1996 թ.

ზოგნი უფრო გრძელი ვადით  
სიცოცხლის დღეს ცრიან,  
სულის შემხუთავ ყოფაში  
ნებიყოფას სცდიან.

ტყის მცველები დაუნდობლად  
ნორჩ ნერგებსა ჭრიან,  
ცეცხლს უდებენ აყვავებულს,  
ინახავენ ჭიას.

იღიმება გაზაფხული,  
აისს ვუცდით მზიანს,  
ლალი ფრენისთვის შობილნი  
ლოკოკინებს ზრდიან.

5.02.2009

## მიეც ერთობა

წარსულს ოცნების ფრთებით მივუხტი,  
შემოვუფრინე ნაომარ ველებს,  
შევხვდი მტრის მკერდში ჩატეხილ შუბებს,  
ხმალზე გაყინულ წინაპის ხელებს.  
უხსოგარ დროიდან ლომის ჯილაგი  
იყო ჩაფლული მგლების ღრუბელში,  
არავინ ჰყავდა მხარის მიმცემი,  
არსაიდ სჩანდა ხსნა და ნუგეში.

დაქუცმაცება თუ დაამიწა,  
ძალა არ არის მისი გამტეხი;

მიცე ქართველ კაცს მჭიდრო ერთობა,  
შეეჭიდება ყველა ქარტეხილს.

მუშტად შეკრული თუნდ ათი ლომი  
მგლებსა და ტურებს მოსპობს ათასებს,  
ოლონდ არ იყოს შური, ღალატი,  
თუნდაც უტევდეს მტერი ათას წელს.

ეს ჭირი მოსპეთ ჩემს წინაპარში,  
მე ისტორიას ახლად გადავწერ,  
მაშინ იხილეთ უდრეკი ერი  
თვითონ სამყაროს დიდ ღერძს გადასწევს;  
წადმა-უკუღმა დაატრიალებს  
წარსულის პირქვეშ ბედის განაწეს.

17.05.2009

## თავქარიანი ტახტზე

ტახტზე ვხედავთ თავქარიანს,  
ცარიელი ქაქნია;  
არ აწუხებს ხალხის დარდი,  
აღმა-დაღმა ურცხვად დადის.

ტრაბახობს და ფანტავს ნიავს,  
ტყემალზე ზის, აბნევს ქლიავს;  
დაემსგავსა ვაშლის ჭიას  
ყალბი აყლაყუდა ჰქეია.

ყველა ბილწი გვერდით უდგას,  
ყველაწმინდას სპობს და მურდლავს  
დღეობა აქვს არამზადას,  
ვინც გამჩენმა არმად ზარდა.

ქართველი კი ბორგავს ისევ,  
ბოროტების ბოდვას ისმენს.  
საქმე ბევრი დაგვრჩენია,  
მტერს არ მივცეთ რაც ჩვენია.

მღრღნელი შესევია სახნავს,  
მიაკვდება თაგვი სახრავს.  
26.05.2009

\* \* \*


დაგვეცა ბინდი ღამისა,  
დღე დაიფერფლა თვალწინ,  
ღმერთმა გაგვწირა ლამისა,  
ვიშლებით ნაწილ-ნაწილ.

დათვს ციქნებივით ურქენდნენ,  
ამიტომ რისხვა გვაწვიმს;  
სულელურ ბოდვას უქებდნენ,  
მტრის მიერ გარყენილ ყმაწვილს.

ახლაც ცანცარა არ ცხრება,  
გულის ფიცარზე გვპაწრის;  
თაობებს კვნესად შერჩება  
მისი მუხთლობის ღვაწლი.

5.05.2009

պատճեն



## კურდლელი და კუ

მინდვრის მწვანე სამოსელში  
 ბეღისწერა თვლემდა,  
 არწივს სივრცე არ ყოფნიდა,  
 ცის თაღს ფრთითა ხევდა.  
 ბალახებში კი კურდლელი  
 ტრიალებდა მარდალ;  
 დილის სიოს მიყვებოდა,  
 ნამი სახეს ბანდა.  
 სიხარულით გალაღებულს  
 არაფერი სმულდა,  
 მინდვრის ყვავილთ უღიმოდა  
 და სიცოცხლე სურდა.  
 ველის ავი მბრძანებელი  
 კურდლელს მიყვა ფრენით;  
 საცოდავი თათს მიენდო,  
 დაეკარგა ფერი.  
 იქვე დიდი ჩირგვი ნახა,  
 შეძვრა, წყნარად დაწვა;  
 ცოტას დარჩა არ იმსხვერპლა  
 მტაცებელის კლანჭმა.  
 არწივს ხელი მოეცარა,  
 ჩირგვის თავზე დაჯდა,  
 მოთმინება მიიკრიბა  
 და დაუწყო დაცდა.  
 კურდლელს კი კუ მიეძალა,  
 მათხოვარი ტრფობის,  
 დაიჭირა, ბრჭყალი მოსდო  
 სირბილისთვის შობილს.  
 საწყალს მწარედ გაეღიმა,  
 ამ მუხთლობის მნახველს,  
 ცრემლით სახე დაისველა,  
 წყენით უთხრა თავხედს:  
 – დაბლა სამარცხვინო ხოხვა  
 შენს მოდგმას თავს აწვიმს;  
 უსახური მაჩანჩალის  
 გასათელი რა მჭირს;

ქარი მინდვრად მოჯირითე  
დამიჭერდა არც ის;  
შენ კი არა, ბუჩქე რომ ზის,  
ხასად ვყავარ არწივს!

22.09.1984 წ.

## უძლეგელი მელია

უღრანი ტყის სამყოფელში  
ჯუნგლის კანონს ყველა იცავს,  
სადაც ძალადობის კვალი  
სისხლით ათრობს დედამიწას.  
ძლიერს არ ყავს გამკითხავი,  
სუსტს თან დასდევს ტანზე კბენა;  
თუ დაჩაგრეს, სად იჩისლებს,  
ლომი უდგას ამ წესს მცველად.  
ყველგან ძალის თარეშია,  
ერთმანეთის აკრთობთ შიში;  
დახმარება იმას ჰქვია,  
რომ შეჭამენ გასაჭირში.  
იქ საჩივარს არგინ უსმენს,  
სუსტი ჩაგრავს უფრო სუსტებს;  
მათი ბედის გამგებელი  
სისხლით დასვრილ ბრჭყალზე უსტვენს.  
ვისაც ძალა ჭარბადა აქვს,  
არ სჭირდება ტვინი გრამი,  
მაგრამ ყველას შეუნახავს  
აზრში თავის წილი შხამი;  
შუა ტყეში, მუხის ძირას,  
მხეცებს წესით ჰქონდათ ბჭობა,  
არა ჭირდა იქ თავადის  
და მისი ყმის გამოცნობა.  
გაბლენძილმა მელამ მათ წინ  
თავხედურად გაიარა,  
დამცინავად გადახედათ,  
ეს ამბავი დაიბარა:  
— რომელსა აქვს იმის ძალა,

შეებრძოლოს მბლავრ თათს ჩემსას?  
 გამოვიდეს, შემჭიდოს,  
 მინდა მისი სისხლი შევსვა!  
 მგელმა ეს ვერ მოითმინა,  
 სწრაფად გაეკიდა კვალზე,  
 კბილით სურდა მიეჭედა  
 თავხედობა მელას ტყავზე.  
 ტყეში ატყდა ლაწა-ლუწი,  
 ძლიერ ყბებში ძვლების მტვრევა,  
 განსაცდელში ჩავარდნილის  
 გოდება და კუნთის ხევა.  
 უპე ეჭვი ალარ ჰქონდათ,  
 მელას ედგა გაჭირვება  
 და უცდიდნენ, რომ ენახათ  
 მისი ბედის გაცივება.  
 დაგლეჯილი ტყავის თრევით,  
 საცოდავი დაბლა ხოსვით,  
 მოვიდა და ძირს დაეგდო  
 მომაკვდავი მგელი ოხვრით.  
 კვლავ გამოჩნდა წუწყი მელა  
 და იკითხა მედიდურად:  
 — კიდევ ვის სურს მივამსხვრიო  
 ფუყე თავზე ბედის სურა?  
 დათვმა ვეღარ მოითმინა,  
 თათის ქნევით გაეკიდა,  
 უნდოდა, რომ ეს თავხედი  
 ერთიანად დაეკვნიტა.  
 მაგრამ მალე მას მგელივით  
 დახეული ტყავი შერჩა;  
 მხეცების წინ გაიშოტა,  
 მიაბარა სული ზეცას.  
 აქ აფთარმა ყარა ცოფი,  
 აუდუღდა ბრაზი თავში;  
 წინა ორის ბედს ეწია,  
 აღარ შერჩა სული ტანში.  
 ეს რა ძალა აგრძნობინა  
 ამ სალაფბოს დღისით-მზისით!

მხეცებს ენა ჩაეყლაპათ  
 დაზაფულებს მელას შიშით.  
 მალე ლომი დაადგათ თავს,  
 დაესვარა სისხლით კვალი;  
 გვერდით მელა მოჰყვებოდა,  
 ღიმილს თესდა მისი თვალი.  
 — კიდევ ვინ თქვა ჩემზე ცუდი,  
 ვინ მლანძლავდა თქვენში ურცხვად?!  
 გამოვიდეს, რომ დიდ წეზე  
 მოვუნაყო თავი უცბად!  
 პირდაღებულ ლომის რისხვას  
 დასასრული არ უჩანდა;  
 შიშით გონდაკარგულ მხეცებს  
 გულისცემა აუჩქარდათ.  
 ჩირგვებს ამოფარებული,  
 ჩხიკვმა ნახა იქვე წიდან,  
 მელა თავის მეგობრებში  
 ვერაგობას იკვეხნიდა.

\* \* \*

ასე არის, უხეშ ძალას  
 როცა ტვინი არა მართავს,  
 უგუნურობის კვალი აქვს  
 მის კანონს და მის სამართალს.

18.09.1974 წ.

## შეპარებული შვილი

სანადიროდ გაეშურა  
 მამა სამი ჭაბუკით,  
 გადალახეს მთა და ჭალა,  
 ღელე თოვლით ნაბუქი.  
 ერთგან ტახი დააწვინეს,  
 შველიც მოკლეს ფეხწვრილი;  
 მწვალი შეწვეს, ღვინის ჭიქა  
 საკოცნელად შესცინით.

იქეიფეს, მოილხინეს,  
 შეჭამეს და დალიეს,  
 ნანადირევი წაიღეს,  
 გზა ნახევრად გალიეს.  
 ერთგან ტყეში ვერ შენიშნეს  
 ორმო მოლად დაფარული,  
 ზედ შედგნენ და შიგ ჩაგარდნენ  
 ჯავრისგან დაცვარულნი.  
 დრო გაგიდა, არვინ ჩანდა  
 მათი ბედის გამხსნელი;  
 გაუთავდათ რაც კი ქონდათ  
 საჭმელი და სასმელი.  
 შიმშილი კი გვერდით ყავდათ  
 ვით სიკვდილის ზმანება,  
 ყოველი დღე აგროვებდა  
 სისუსტეს და წამებას.  
 ასე იყვნენ ვერ მოძებნეს  
 თავის დახსნის წამალი,  
 საშუალო ძმის ნათქვამი  
 მოისმინეს თამამი:

- სამნი ახალგაზრდები ვართ  
 და სიცოცხლე წინა გვაქვს,  
 მომავალზე ოცნებები  
 თან დაგვდევდა წინათაც.
- თავი რომ გადავირჩინოთ,  
 სიკვდილი არ გვემწაროს,  
 ამ ქვეყნად დრო მოჭმული აქვს,  
 მამა დავკლათ, შევჭამოთ.
- რასა ლაყბობ! — პირში ეცნენ  
 უფროსი და პატარა, —  
 უფალსა ვთხოვთ, სიკვდილამდე  
 მამის გვერდით გვატარა.  
 სიცოცხლე კი რაც რო დაგვრჩა  
 ჩვენ მის სუნთქვად გავაქრობთ,  
 გულის ძერას გავაჩერებთ,  
 და მამის მკერდს გავათბობთ.  
 მალე ვიღაცა მოადგათ,  
 ყველა გადაარჩინა;

ორმოში განცდილი დღეთა  
 ხსოვნა მალე გაცივდა.  
 დაუდლელმა აღსასრულმა  
 მამა მოინახულა,  
 ცოლსა სთხოვა მასთან მისვლა  
 ბოლო დღეზე გასულმა.  
 აღსარება ჩააბარა,  
 ქალმაც გული გაუხსნა,  
 მისგან რაც კი დაემხლა,  
 ცრემლის ფრქვევით აუხსნა.  
 უთხრა: — ერთხელ ღმერთს შესცოდა,  
 და დალატი იკისრა,  
 შუათანა ბიჭი შერჩა  
 იმ დალატის თილისმად.  
 კაცმა მწარედ გაიღიმა,  
 გაახსენდა წარსული,  
 მიხვდა საშუალო შვილში  
 რად ბუდობდა ავსული.  
 შვილის გულში თუ არ მღერის  
 შენი სისხლის წვეთები,  
 სადღაც მიძინებულ გენებს  
 თავისად არ ეთვლები.  
 განსაცდელში უცხო თესლმა  
 მამის გრძნობა დანისლა;  
 ჩემმა სისხლმა, ჩემმა ხორცმა  
 არ გამწირა, დამიხსნა.  
 — ისევ მწარედ გაეღიმა,  
 ცოლს საყედურს აყრიდა;  
 ფიქრების ნისლს გაერია,  
 წავიდა და გაფრინდა.

30.10.1964 წ.

## ბალადა გიორგი ურჩაძეზე

ლექტორი იყო, ყველას ურჩევდა,  
 რომ საჭიროა მყარი ცოდნა;  
 ბევრითის სულის მალამო ერქვა,  
 ზარმაცის დანდობა არ იცოდა.

სჯეროდა სამშობლოს აღმაფრენა  
 ცოდნით და საქმით ძლიერით;  
 სწამდა, რომ ჭირის თასს დასცლიდა  
 უქნარა, გონება მშიერი.  
 დალოცვილს, გიორგი ერქვა სახელად,  
 თავის ნამჟესთან კაცობლა,  
 უფროსებმა ის ურჩაძეთ მონათლეს,  
 ნამდვილ გვარს არავინ არ სცნობდა.  
 იმის საგანში იცხრილებოდა  
 ნიშნების უოფლოდ მპარავი,  
 ძმობით და ხათრით დაუწერეო,  
 გაუბედავდა არავინ.  
 ურჩაძის სკამთან პირქვე დაემხო  
 ადრე გრიალით მავალი,  
 ნებიერი და თავქარიანი  
 წიგნის არმცნობი მრავალი.  
 მარტო დიპლომი ფუჭი ბარგია,  
 თუ თან არ ახლავს ცოდნაო,  
 ვინც იმას სწავლობს, რაცა გვჭირდება  
 მისი გამჩენი ცხონდაო.  
 კარგი დურგალი და კალატოზი,  
 მჭედელი, თუნდაც ხარატი,  
 სჯობია ექიმს და იმ ინჟინერს,  
 რომ მოინათლენ ძალათი.  
 ქვეყანას რა სიკეთეს მოუტანს  
 ყალბმცოდნეობით გავსება,  
 გაიბერება, კონტროლს გასცდება,  
 სიმსივნეს დაემსგავსება.  
 სამშობლო, ყველას ასე რომ გვიყვარს,  
 გვიშლის სიყალის მიჩვევას,  
 შვილთა ამგვარი ჭკუაკოჭლობით  
 დიდ თავოკმბალად იქცევა.  
 არ ეყოლება მიწის მსვნელი და  
 ალარც მოსავლის ამღები;  
 მცოდნე გაქრება, გაგვიწყალდება  
 მეცნიერების ნაღები.  
 გიყვარდეს ერი, ვინც შენ დაგბადა,

სიცოცხლე ხარჯე მართლად;  
 მამულის შეილი უნდა იყო, რომ  
 მისთვის აქნიო სანთლად.  
 მისით ვამაყობთ და ამავე დროს  
 უწმინდეს ხატებს ვძარცვავთ,  
 ეგოისტობით გზაანეულნი  
 არარაობის წყალს ვსვამთ.  
 სიტყვასთან საქმე გაბუტულები  
 გადავიქეცით ენად;  
 მსახიობობით გარეთ მტერს ვაფრთხობთ,  
 სახლში ვარო მოყვრის წყენად.  
 სალი საქმე და პირდაპირობა  
 ნათელსა გვუქნდეს მუდამ;  
 ეს საზარელი თვალის ახვევა  
 ჩამოგიბერტყოთ უნდა.  
 ურჩაბე ამას ურჩევდა ყველას,  
 მტკიცედ მისდევდა მის კვალს;  
 რწმენას ასე რომ ანებივრებდა  
 არ დააკლებდა მისხალს.  
 ყავდათ სტუდენტი, ვინმე სახტაბე,  
 თავს არ იკლავდა სწავლით,  
 კურსიდან კურსზე გადადიოდა  
 პროტექციორობის წამლით.  
 აგერ, მიადგა იგიც ურჩაბეს,  
 ამობუქსავდა მაგრად;  
 კანონიერი ცოდნის მოთხოვნა  
 ნაწყენს ეჩვენა ჩაგვრად.  
 ბევრი ეცადა, მაგრამ იმ ლექტორს  
 ვერ მოუძებნა ფონი,  
 გამწარებულმა ასე ჯახირი  
 გადაიფიქრა მეონი.  
 სოფელში თავის მამას მოუთხრო  
 ამბავი ურჩი კაცის:  
 არცერთი ხერხი არ მიუდგაო  
 იმ სულით უჩინმაჩინს.  
 ხარის და გუთნის საქმე მესმისო,  
 იქ ტყვილად ვღეჭო ჩალას;

მიწას მივხედავ, ჯანს გავალალებ,  
მოვცილდებიო ქალაქს.

— ურჩაძე მყავდა თანამებრძოლი,  
წყალში და ცეცხლში ვიყავით ერთად;  
მძიმედ დაჭრილი სიკვდილს წავართვი,  
იმ ამბის შეძლევ მიწამა ღმერთად.

იქნება იცნობს ჩემს თანამებრძოლს,  
ან გაუწიოს გვარს ანგარიში,  
წავალ მოვუთხრობ წვრილად ყველაფერს,  
რაკი არა სწამს მას არავისი.

სახტაძის მამა წავიდა ქალაქს  
და ინსტიტუტში ურჩაძე ნახა;  
ერთმანეთს შეხვდნენ თანამებრძოლნი,  
ცა ვერ უძლებდა იმათ ლად ხარხარს.

ურჩაძე ძმაკაცს გადაეხვია,  
თბილი სიტყვები ხარჯა;  
გაიხსენეს და კვლავ შეაშფოთეს  
ომში ნახული ტანჯვა.

მთხოვნელს ღიმილი არა სცილდება,  
მისი ნატვრა ხომ ახდა!

თავისი მოსვლის მიზეზი რომ თქვა,  
სახტაძე დარჩა სახტად.

— ის მირჩევნია, მძიმედ დაჭრილი  
ისევ დამტოვო ველზე,  
სიკვდილმა თავის ბასრი მახვილი  
კვლავ მომაბჯინოს ყელზე,  
ვიდრე უქნარას მეცნიერების  
კარის გამსსნელად შევრჩე,  
რათა სამშობლოს ტყბილს, სათაყვანოს  
მწარე სირცხვილად ექცეს.

წაიყვა, ძმაო, ვენახს მიხედოს,  
მხარზე მოგყუდოს მხარი,  
ნაძვილი საქმის ძალა შეიგრძნოს,  
იმედად იქცეს ხვალის.

მეცნიერია თუ მიწის მუშა  
სათაყვანოა ყველა;  
არარაობად გადაქცეულნი,

მიტმასნებულნიც გვყვნან. გიჯობს, მაგ შენს შვილს ის გზა ურჩიო, სადაც გაჩვენებს ძალას; ხვალ მომიწონებ, რომ გაგაწბილე, და დღეს შემექმენ მწყრალად. სახტაძის ვაჟი შრომაშ და ოფლმა აწრთო, აქცია გმირად; ყალბი დიპლომით ჯანსაღ სიცოცხლეს ბევრი გაყვება ვირად.

9.04.1966 წ.

## ბალადა ქალაქის მერ პინგვინზე

შენდება, ტყევდება, იზრდება, მშვენდება,  
ქალაქი უუჭად გაბლენბილი;  
პინგვინი მანქნით დასრიალებს,  
დათვია ბეწვებდაძენბილი.  
უყვართ საქმეთა მოჭიდება  
ხმაურითა და ტრაბაზით;  
ბოლომდე მიყვანა უბერწდებათ,  
ქუჩებიც ლაღობენ ტალაზით.  
მაღალ ქანდარაზე წამომჯდარნი  
თხელ ჭკუას ძალას ატანენ,  
მისით ნაკრაზევ დარიგებას  
ირგვლივ ბზესავით ფანტავენ.  
პინგვინი ჩინჩაზვზე იყურება,  
შორსმჭვრეტელობით ბეცობს;  
ცაში ვარსკვლავებს სალამს აძლევს,  
გვერდში მეზობელს ვერ სცნობს.  
არა სჭირდება საწყალთა თვალში  
დიდი ეკალის დანახვა,  
მერე რა ვუყოთ თუ შეკრებებზე  
მსგავსებს ძმადა თვლის ხანდახან.  
მთავარ პრობლემებზე უყვარს ქადაგება,  
მსმენელიც მრავლად სჭირდება,  
მუხუდოს მარცვლების მუჭებით შეყრით  
კელლების დაქცევას პირდებათ.

სასწავლებლები საკმარისი აქვთ,  
 კადრებსაც არჩევენ, როგორც ესმით,  
 პინგვინი მამამთავარია,  
 ჭიკუა ეკითხება როგორც წესი.  
 მოგეხსენებათ, ვინც რას აკეთებს,  
 მისი ცოდნაა საჭირო,  
 ცომის მზელავმა ინჟინრის საქმე  
 დასაღუპავად გაწიროს.  
 სად გაგონილა, ან სადა თქმულა,  
 კატა შეაბა ურეშში,  
 თაგვებს კი დარაჯად მიუჩინო  
 მთისხელა სპილო უხეში.  
 თავის საქმეში ქველი და ბრძენი  
 სხვაში სუსტი და ბეცია,  
 მყარი საძირკვლის ამ სინაძღვილეს  
 ჭიკვათხელნი როგორ შეცვლიან.  
 ცულლუტი ყველა ხელობასა ყავს,  
 მხვნელსაც და თაგვის დამჭერსაც,  
 როცა მოშივა ის კატა ზოგჯერ  
 იპარავს ყველის ნაჭერსაც.  
 მარტორქა, ოუნდაც ჰიპოპოტამი,  
 რამდენი მსხვილი მხეცია,  
 მუხას რომ ფესვებიანად გლეჯენ,  
 კატას მაინც ვერ შეცვლიან.  
 მაგრამ პინგვინი რის მეუფეა,  
 თუ არ დანერგავს სიახლეს,  
 ცარიელ თავში აზრი უფუის,  
 ტანს გაბლენბილი მიათრევს.  
 რადგანაც კატა ყველს იაპარვსო,  
 უნდა თიბოსო, ბალახი;  
 თაგვს რომ შეებას იმედიანად  
 სპილო კატას სცვლის კარგა ხნით.  
 იმის მაგიერ ყველის პარია  
 ნამდგილ მშრომელად ექცია,  
 თაგვის სორისთან შენიღბვის წესზე  
 სპილოს უტარებს ლექციას.  
 გუშინ ვაჭრობის მცოდნე ერთ კაჭკაჭს

განათლებულს და საქმიანს,  
მცოდნეს, თავმდაბალს, სმენად გაკრეფილს,  
პატიოსნობის ნათლიას.

უთხრა: — დახლიდრად ვერ გამუშავებ,  
რადგან ეს საქმე იციო,  
შენ სხვა რამ მთხოვე, იქ გამოდგება  
გაუხელნავი კვიციო.

კაჭკაჭს უთქვია: — თუ ასე არის,  
მე ქირურგობა მერგება,  
რადგან ექიმის მძიმე ხელობის  
ანბანი არ გამეგება.

ჰოდა, პინგვინის საბრძანებელში  
აშკარად და თვალზილულად,  
სპილო თაგვს იჭერს, კატა ბალახობს,  
კაჭკაჭი უზით ქირურგად.

ცოდნა არავის არა სჭირდება,  
თავაღებულნი დაძრწიან,  
ავადმყოფებს ბრმა ნაწლავის ნაცვლად  
საშარდე ბუშტებს აჭრიან.

ქალაქი არის გეგმით ნაგები,  
ტვინიც ფიქრისგან ცხელდება;  
დღეები მიდის გაწამაწით,  
რაღაცა მაინც შენდება.

7.04.2009 წ.

## ბედკრული სამართალი

იმთავთვე ასე არის,  
სოფელს ადგას ქედი ხარის;  
თავისი აქვს ლხენა, ჭირი,  
ბარაქა და გასაჭირი.  
ოფლს ლვრიან თუ ქეიფობენ,  
გლოვობენ თუ ზეიმობენ,  
სულ ერთი აქვთ ძალისხმევა,  
სიმღერა თუ ცრემლის თხევა.  
ყვათ თავისი ფეიქარი,  
დალაქი და ბეითალი;

მჭედელიც და კალატოზიც  
 დგას ცხოვრების მარათონში.  
 ავტომობილს მოკრეს თვალი  
 და გაუჩნდათ საზრუნავი;  
 შეაგროვეს უული ერთხმად,  
 შეიძინეს ყველამ ერთად.  
 მაგრამ შეხეთ გაჭირვებას,  
 მძღოლიც ნაღდად დასჭირდებათ;  
 მთელ სოფელში ვერ მოძებნეს  
 კაცი ამ რთულ საქმის მცოდნე.  
 ბოლოს ადგა ვინმე „ბრძენი“,  
 თამამად თქვა მან სათქმელი;  
 – დარიგებას მე გავტეავ,  
 გამოსავალს უკვე ვხედავ,  
 მანქანას ის მართავს წესით,  
 რკინის საქმე ვისაც ესმის.  
 მჭედელი გრძნობს სხვაზე კარგად  
 რა დაგორავს უფრო მაგრად,  
 ურმის თვალზე უჭერს სალტეს,  
 ნალებს ღუნავს, ბორკილს ამტვრევს.  
 „ბრძენი“ აღარ გააწვალეს,  
 მჭედელს სიტყვა არ აცალეს;  
 თურმე საქმე კარგად ესმის,  
 მიაჩეჩეს საჭე ხელში.  
 მან მანქანა გააქანა,  
 კლდეს კვერცხივით შეახალა;  
 სახე ჰქონდა სისხლით სგელი,  
 ნაწილი არ დარჩა მთელი.  
 ხალხის დიდი ნაოფლარი,  
 ხევში ეგდო ნაოხარი;  
 განიავდა მათი გარჯა,  
 გადაწყვიტეს მჭედლის დასჯა.  
 ყველამ ერთხმად მოითხოვა  
 იმ საბრალოს ჩამოხრჩობა;  
 დაამაგრეს ძელი ხეზე  
 და მიაბეს თოკი ყელზე.  
 ზარს შემოკრა როგორც მნათემ,

ეს ადგა მოსამართლე; არ დაზოგა სიტყვა ბრძნული, საღი ჭკუით ჩამოსხმული. – ცუდ საქმეს ჩავდივართ, რატომ? მჭედელი გვყავს ერთი მარტო, რომ დავახრჩოთ, მაშინ მართლა, უმაგისოდ აბა რა ვწნათ?! დურგალი გვყავს ბარე ათი, ბევრმა იცის საქმე მათი, ერთი მივცევთ სიკვდილს მბევლად, გამოვდგები მგონი მრჩევლად; არ დავაკლოთ ჩვენი რისხვა ვინც მანქანა დაგვინისლა. მოიწონა ყველამ რჩევა, ასეთია ფარის ჩვევა; მჭედელს ყელზე თოკი ახსნეს და დურგალი ჩამოახრჩეს... დარაცრაცებს დღესაც მთვრალი ეს ბედკრული სამართალი.

5052006

## კიტრის ნაფცექვენი

კიტრის ჭამა კვლავ მოუნდა,  
 მაგრამ ერთიც აღარ ჰქონდა,  
 წაბილული ნაფცქვენი კი  
 იქვე მის წინ ბალახობდა.  
 ხელით მისწვდა, დააკვირდა,  
 შარდის კვალი ვერა ნახა,  
 გაწმენდილად ჩათვალა და  
 პირისაკენ გზა უნახა.  
 დინჯად მიყვა ნაპირიდან,  
 ნაფცქვენების იწყო რჩევა;  
 ბოლოს ერთიც აღარ დარჩა  
 და გამოძღვა შესამჩნევად.  
 ზოგს ეს თქმული მოუხდება,  
 ვისაც რომ აქვს მსგავსი ჩვევა;  
 წაიკითხოს, გაიაზროს,  
 გამოადგეს იქნებ რჩევად.

8.09.2008 წ.

## ტყის ოინები

ადრიანად ტყის ბილიგზე,  
 როცა აზელს თვალას დილის მზე,  
 კურდღლელს შეხვდა მაჩვი დიდი,  
 არა ჰქონდა სახე მშვიდი.  
 ზედ ეკიდა მთელი ბარგი,  
 თან მისდევდა მძიმე დარდი.  
 გაუხარდა კურდღლის ნახვა:  
 — გამარჯობა! — დაუბახა.  
 არ შეხვიდე, უთხრა, ტყეში,  
 იქ ოხრად არ დაგრჩეს ლეში;  
 კომისია ბრაზით დადის,  
 ფოცხვერიც თან ახლავთ მარდი:  
 ვისაც ორი თავი აქვსო,  
 მას ერთს ზედმეტს აჭრიანო.  
 — თურმე თავს ჯერ მოაჭრიან,  
 მერე კიდევ დათვლიანო,  
 შენ მტკიცებას ვინ დაგიდევს,  
 იქ უფროსად დათვიაო.

ցաշկարդա քարճալու մալթե,  
առ արօսո մահա ժէպանի;  
ցայտա եթոնա-եթոնանոտ,  
կռմանա Շեշզա ժմոնանոտ.  
— ճայտալու մագաս տապո,  
առ արօնու սառալապո! —  
ածորթպանու մապո ճատպո  
ճա ճառթպա յանթե տատո.  
— նոյ ճամբանապո, մմանո, մալատ  
յրտու տապո Նուլ տան ճամայվու.  
— ցարկապեպոն, ցագեպոն,  
նյին տապս տան առ Շառլապոն!  
— սաւոլապո ոյվո մոկլուս  
ճա ճանիրու ճասկանա մոկլու:  
— ճոճու Յունանոտ մուզանութու  
իզեն յուրուպիութաս ծոռու նատյամու,  
Շեմովմեծոտ ճաճասթուրու,  
յրտու տապո յոնճա մարտուրաՅ:  
մուսու մեղյու հախեծուլուտ  
ծըզրուս մաճա մունատուրա.

1.08.2006 ՞.

## Թուան գուան

Սկանա կապո Ռոնա կապս  
յ՛մմայուրաճ մուսուլուս, մուսուլուս,  
նայեթյուրունու յոյեն զեր աջամս,  
տան մուս ձարցսապ այգութենու.

Ռոնա կապո ույ Ռայկու,  
մաս սկանա մուսուլուս յութենու;  
ճասուլութենու, յիսան ցանացրմունու  
ճա յոյեթենու ճայկութենու.  
ախլա յոյրու լաճաճ Ռայա,  
ամայաճ ցատուլապս յիսասպ;  
Ռոն ույ ույ Շեշզա զոնմե,  
ամ ուլուտու մուսունուս մասապ.  
ծոռուս մասու յայինթենու

თავის მსგავსი უკან კაცი,  
 წაქცეულს წიხლს დააბიჯებს,  
 წელში გაშლას არ დააცდის.  
 ცხოვრების ამ უწყვეტ შარას  
 კბენით მისდევს უძღებთ ფარა,  
 წინ ვინც მიდის ოცელება,  
 მლიქნელებით ითელება;  
 უკანაც ხომ ცუდ დღეშია,  
 წინას ფეხების მტვერშია.

\* \* \*

მიდის ფარა, მიდის კენტად,  
 გაპუტულთა მატყლსა პენტავს;  
 მის ყოფაში ღვარძლსა ვხედავ,  
 სად მიიყვანს ეს გზა ნეტავ?..  
 21.08.1964 წ.

## ბედის კარუსელი

ერთმა კაცმა ვიღაც გამვლელს  
 სილა გაჰკრა, გაამწარა,  
 იმის მოთქმამ და ჩივილმა  
 ირგვლივ მყოფნი გააწვალა:  
 – ვახ! რა მიენეს, ერთი ნახეთ,  
 ცოცხალი დამამიწესო,  
 ამ შერცხვენას და დაცინვას  
 ნეტა რა დამავიწყებსო!  
 უპასუხა იმავ კაცმა:  
 – დაიხსომე მითქვამსაო,  
 სილა გადაგავიწყდება,  
 რომ ამიგკრავ ჭიტლაყსაო;  
 თუ ამაზეც აყვირდები,  
 არ გალოდებ დიდხანსაო;  
 პატარა თუ გაგიკვირდა,  
 თავს მიახლი დიდ ქვასაო.

\* \* \*

უხეშ ძალას უფრო სუსტან  
 თავხედობა შეემჩნევა,  
 სუსტმა რა ქნას? ბედის ტყვეა,  
 ყველაფერსაც შეეჩვევა.  
 ის უხეშიც მასზე ძლიერს  
 ნახავს, ფერი შეეცვლება,  
 მაგრამ პანღურს რომ მიიღებს,  
 დავიწყებას შეეცდება.


21.08.1969 წ.

## თხის სიხარული

ცხვარს დუმა აუთამაშდა,  
 როცა გადახტა რუზედა,  
 სასირცხო ვეღარ დაფარა,  
 ამას თურმე თხა უმზერდა.  
 სიცილით გადაფიჩინდა,  
 კინაღამ თან არ გადაპყვა;  
 ქვეყნას სირცხვილად მოსდო  
 ცხვრიტს იმ ადგილის დანახვა.  
 კაჭკაჭმა უთხრა: — ცანცარავ,  
 ტვინს სისულელე გიჭამსო,  
 მას ერთ წამს გამოსჩენია,  
 შენ გაჩენიდან გიჩანსო.

19.08.1995 წ.

Էռամբա



## აშბაგი მძლეთა მძლე ფორეზე

### მძლეთა მძლე ფორე ომში

გოგო-ბიჭებში ჩამჯდარი  
ერთი პატარა კაცუნა  
უცნაურ ამბავს ყვებოდა,  
თავს არ ზოგავდა დასტურად.

ყველა ხალისით უსმენდა,  
დუმდნენ, ხან იყო ბაზარი,  
ხან იცინოდნენ ხმამაღლა,  
ხან შიში კბენდათ საზარი.

მძლეთამძლე ფორე მათ შორის  
კაფანდარა და ძვალწვრილი,  
ჩია, სუსტი, მოქანავე,  
ვით ძეწნის ტოტი აჭრილი,

ბეგივით ფეხმოკეცილი  
ხსოვნის ყულაბას ქექავდა;  
ნახავდა, მტვერს მოაცლიდა,  
საგულდაგულოდ ფერთხავდა.

მერე იწყებდა მრავალი  
თავგადასავლის აკინძეას,  
სასწაულები ამრავლა,  
ზეცის თაღამდე აკინწრა.

ომში ნამყოფს და ნაწვალებს  
ბევრი რამ გადახდენოდა,  
ცდილობდა, მართალი ეთქვა,  
სიცრუე არ დასცდენოდა.

დღემდე კაცი არ გამოჩნდა  
ეჭვი ეგრძნო მის ნათქვამში,

საჭესთან ჭეშმარიტება  
ედგა აზრების მართვაში;  
უსმინეთ, ჩემო კეთილნო,  
ფორე ამბების სართავს შლის:

— ომი ატყდა უცაბედად,  
მოლოდინი არ გვქოდა,  
ქუდზე კაცის გასაწვევად  
მაცნე ხალხში დაქროდა.

მაშინ ყანის მკაში ვიყავ,  
ნამგალს ფიცხლად ვხმარობდი,  
დღეში ას ჰექტარს ვასწრებდი,  
ყველას ერთად ვწყალობდი.

ცალი ხელით თუ ვთიბავდი,  
ცალით კალოს ვწეწავდი,  
ზედ ფეხებით დავდიოდი  
სულ ერთ წუთში ვლეწავდი.

მარცვალს ტომარაში ვყრიდი,  
დავაწყობდი გორებად,  
ვისაც ჩემი არ სჯეროდა,  
ვაჩვენებდი სწორედ მათ.

ზურგზე წამოვიკიდებდი,  
მთელ ქვეყანას უკვირდა,  
ეგონათ, მთა მოძრაობსო,  
არა ვჩანდი უპიდან.

როცა ჯარი შეიყარა  
და სალაშქროდ დაეწყო,  
სარდალს თურმე იქ უჩემოდ  
ვერაფერი გაეწყო.

ფორე, ფორე მოიყვანეთ!  
მთელი ჯარი იძახდა,

მე კი ამდოოს როგორც ზარი  
დოდ მინდორში მიწას ვხნავ.

ას გუთანს ერთად ვათრევდი,  
გავაშავე ველები;  
თან ვფარც წავდი, თან ვთესავდი,  
არ სცდებოდნენ ზელები.

სვნა-თესვას რომ ვათავებდი,  
მაცნემ მაცნო ამბავი,  
რომ უჩემოდ ომს არ იწყებს  
ჯარის მთავარსარდალი.

სახლში მისვლა რასა ჰქვია,  
დრო სად იყო ამისი,  
მტერი კარზე მოგვდგომოდა  
ცასა ხევდა ხმა მისი.

გზას ძებნა აღარ დავუწყე,  
გადავლახე მთა-ბარი,  
ჯარმა მიცნო, მოვიდაო  
ფორე ბიჭი მაგარი.

იარაღი ჰქონდათ, მავრამ  
ერთი იყო საწყენი,  
სიჩქარეში დავიწენოდათ  
კარტოფილის საფცენელი.

ამის გამო მშრალი პური  
იყო მათი საჭმელი;  
კაცის ჯანზე მოსაყვანად  
სად მშრალი და სად წვენი.

დიდ სარდაფში კარტოფილის  
სანახავად შევედი,  
დაფცენა მაშინვე დავიწყე,  
როგორ მოვისვენებდი.

უცაბედად ატყდა სროლა  
ვით ახალწლის დღეობა,  
წუთით გვერდზე არ გადავდე  
ჩემი მოვალეობა.

თქვენ ხომ იცით, წესრიგს ვიცავ,  
რაც მჭირდება თავად ვთვლი,  
უცებ მტერი დამადგა თავს  
ასე ორმოცდათი.

დანახვისთანავე მიცნეს  
ვინ ვიყავი, რა გვარი,  
მე კი იმათ გადავკიდე  
გასაჭირი ამგვარი:

ბატებივით ჩავარიგე  
ყველა ერთად გათოკილი,  
დავავალე, რომ დაეფცევნათ  
ასი ტონა კარტოფილი.

მერე გარეთ გამოვედი,  
დიდი ტანკი დავინახე,  
ტკინის დოლაბი გაბრუნე  
აზრი რამე დავისახე:

წინ თამამად დავუდექი  
და ავწიე ხელი მარდად,  
ტანკისტი ძირს ჩამოვიდა,  
შიგ ფეხებში ჩამივარდა.

თურმე მეთაური იყო  
სხვა ათასი მანქანის,  
რადიოთი მოვაგროვე  
ქოშინით და ქაქანით.

კოშკურები წავაცალე  
როგორც ქათამს კისერი,

მწყობრში ასე ჩავაყენე  
სუკველა თაგშიშველი.

გუთნეული ავუბი და  
გავაგზავნე სახნავში,  
თან კასრები გავატანე  
მათ საწვავის სათავსი.

კოშკურები ძნად შევკარი,  
გადავაღნე თოხებად,  
ყუმბარები განვმუხტე და  
რიყეს შერჩა გობებად.

არტილერია მოვძებნე  
ცეცხლს აფრქევდა პირიდან,  
მოულოდნელად დავადექ  
ომის რისხევა წინიდან.

რაც კი ზარბაზნები იყო,  
ერთად მაგრად შევკარი,  
მარტენის ღუმელში ჩავდე  
დასადნობად შემწვარი.

მერე ჩემი დიდი რისხვა  
აეროდრომს დავეცი,  
ბარტყებივით შევაქუჩე  
ყველა ყვავი მავნე ცის.

ბომბდამშენებს დავავალე  
მინდვრად გაშლა სასუქის,  
ის კი მცენარისთვის არის  
ხაშლამა და ნაზუქი.

გზაჯვარედინზე მოვაწყე  
ძირითადი კარანტინი,  
ყველას ვჩხრეკდი, ჩამოვართვი  
ცხენი, ხმალი, კარაბინი.

ՃԸՆ Ճամացգա մալթյ ցեսարյ,  
մաշրամ ხեծազտ ցաշովելո,  
մովսէպյ, Տանուսած զայլույ  
նացան ճա մայթյրո.

Եմելլետիյ կապո առ ճարհիա  
օարալոտ մոարյուլո,  
ճոճո ճա մուորյ Շեյյմնա  
յրտմանցոտու մոյցարյուլո.

Առջո օարալո ամրացլեծ  
պայլա Շյեւտ տանախմած,  
աջամունցեծ ացոյյըն  
յրտմանցոտու ճանախցա.

Մյ կո մովսէպյ, ամովմօրքայ  
ծորությեծու ճոճո եյ,  
տոյ առ ցչերատ, րապ ցոտերոտ,  
Ռաճոտ, Տեցացան օկոտեյտ.

Եմելլետիյ Ռոմ մյուջրոյեծ  
ճա և օմշայուց զախարյ,  
նջացա նցոռուազդա, ցեցելու այրեցեզդա,  
Տաս՛որու երուժա պալ մեսարյե.

Ճածրանցեծ զեր ճացոյարյ,  
մյ, մշցուոնծու մեխությեմ,  
Ռոցորու միշելազտ, Ն՛որյադ ասյ  
Շյա նջացա նշաբուկե.

Ճյանակյու Շեցացրուզ,  
Ռոմ զեր Շեցել մարտո մյ,  
Ռյալու Շեցազո, ցեմեծո կո  
պայլա Ցևարնիյ ճաշուուզ.

Մյնջացայրյու Շեցըրոնիյ,  
ցազոյցանյ նաձորնի,

კრეისერები გავგზავნე  
ზღვის უფსკრულში ნაცილზე.

ზალხი მშვიდობიან შრომას  
ძველებურად შეუდგა,  
მეგობრობა გაძლიერდა,  
სახლების ბურჯს მხნედ უდგა.

სვევნა, კოცნა, სიხარული  
სულ ღიმილით აწვიმდათ,  
კაცი კაცის წამლად იქცა,  
თუკი საღმე გაჭირდა.

სიცივე ვერას აკლებდათ,  
დაამუნჯეს ზამთარი,  
ერთმანეთის ძმად ვაქციე  
ბერძენი თუ თათარი.

ყანა სამკალად გამზადდა  
თავთავის ზღვად მოსული,  
მიწა სიკეთით აიგსო  
ჩემი რჩევით მორწყული.

ზალხი ბედნიერი იყო,  
მზე სუყველგან მზეობდა,  
ადამიანს უღიმოდა  
შრომა, გარჯა, მხნეობა.

მთავრობებმა ვერ გაიგეს,  
რაც მე საქმე ვიტვირთე,  
ჯართან კავშირი რომ გაწყდა,  
ღალატიო იფიქრეს.

ბრძანებები დააგზავნეს,  
კვლავ შეტევას ითხოვდნენ;  
უზრუნველობა დაკარგეს  
აქამდე რაც იცხოვრეს.

Ռուցա մօխքճնեն, մատո Նոթյցա  
օյս մեռլորդ Նուզինո,  
გայոյրնենդատ յոպոհոծա,  
տավեճոծիս ցոմցոմի.

Նոռկարշի գաճասակլոճնեն  
լրաձանոտ և ոյւցոլուտ;  
Տալիս Տանախաճ ճաճուտ  
և յրտոծա Նուցոլուտ.

Ռուցա պայլա ճաշա՛յինարյ,  
Ռուցա ռմուց գատաշլա,  
տաշուտ գնաժե գաշաշաշնե  
զինց Շարուտ ճճուտ ելարտաշլա;

Իհայիրյ և Իհանելյ  
Տաճաշ Այլելու Շվալոնեն,  
Իհմէ տաշե ար մօյոյիրուա,  
Տափմլուտաշուտ Տաճ մբալուդա.

Գամաթեյնդա Տարճայու և  
Կարլոյուլուտ մջւյեյնելյեն,  
միշակուտեյ, Կարշաճ օյզնեն  
Տալյեն և մտյելյեն.

Ասօ Մոռնա Նշուլ գայուպէյնատ,  
ՇասաՏըլյելաճ ճգեծոճնեն,  
մոհար՛շա զեր գայելյեճատ,  
Շիմ՛մոլուտա Աթշեծոճնեն.

Ռյեսթորանշի Շագոյցանյ,  
գնա ճուլունոտ գավլույտ,  
զո՞չեյմյուտ և մմշութոծիս  
Տաճլուշրմյուլու ճավլույտ.

### მძლეოთამძლე ფორე სანადიროდ

კარგია შრომა, კარგია გარვეა,  
კარგია ოფლით დათორობა,  
თუ მიწის მადლი იცის გლეხკაცმა,  
ვის უნდა სოფლის დათმობა.

მითხარით, რა სკობს ვენახის თავში  
წალმის ღადარზე გათბობას,  
ზამთარში ზვარის რემონტზე რომ ხარ,  
ჭაჭის არაყით ნათლობას.

შეშის დაჩეხვას, კარგად დაწყობას,  
ხორბლის წისქვილში წალებას,  
სალამოობით ბუხართან ჯდომას,  
თხრობის კარების გაღებას.

დილით ძროხების ნახირში გაყრას,  
ხბოს საკუნტრუშოდ გაშვებას;  
ქათმებისათვის საკეკის დაყრას,  
ურჩი მამალის აქშევას.

ღრუტუნა ღორის მონახულებას  
და სალაფავის მირთმევას;  
ომში ნატანჯ კაცს ელიზიუმად  
მომჩვენებია შინ თევა.

სავსე ბეღელი, სავსე ამბარი,  
ქვევრი ღიპსავსე კახურით,  
ცოლშვილთან ვახშმად ტკბილი ჭუკჭუკი,  
ჭიქა ცოტათი ნაკლული.

ფუძის ანგელოზის დღეგრძელობა,  
მამა-პაპური ღილინი;  
ალალი პური, ალალი ღვინო,  
გრძნობით გავსილი ღიმილი.

ჭიანჭველიდან მოყოლებული  
სპილოს არ ვაწყენინებდი,  
ძალის პატრონებს იმათზე სუსტის  
გრილოს არ ვატკენინებდი.

მინდორში შესვენებული  
ვისმენდი ათას გალობას,  
ფრთოსანთა ასეთ ლალობას  
ვირგებდი ბედის წყალობად.

ერთხელ შემიჩნდა ადამის მოდგმის  
მთლად დასაგმობი ცდუნება,  
შაბათ-კვირა დღეს ნადირობისთვის  
ამიცუნდრუქდა ბუნება.

თოფი გავწმინდე, გავაკრიალე  
დანას აგუწყე ფხად პირი,  
ვაზნები უთვალავი გავტენე,  
თან მოვიმზადე საყვირი.

ჩანთა გავავსე ათასი რამით,  
არ დამრჩენია მარილიც,  
საფანგი საქენად მოვამზადე,  
რკინა მოვლუნე ნალივით.

ძალლი ბრძნი და ყველაფრის მცოდნე  
თან წავიყვანე მეგზურად,  
ჭირში და ლხინში ერთად ვიყავით,  
გაზრდილი მყავდა მე ძმურად.

გზას გავუდექით, დიდხანს ვიარეთ,  
ადგილს ვეძებდით ღალიანს,  
დროზე მინდოდა გამენადირა,  
ვნება მიბრყობდა ძალიან.

ჩვენ მივდიოდით, კვალზე გუნდებად  
ფრინველთა ჯგუფი მოგვდევდა;

უკვირდათ თოფით რომ მოვდიოდი,  
უჭირდათ ახლოს მობედვა.

- ნეტა სად მიდის დილა აღრიან?
- ერთმა ბეღურამ იკითხა.
- ვერვინ გაბედა ამბის გაგება,  
ბოლოს ჭივჭავმა იტვირთა:
- საით მიდიხარ, ფორე ბატონო,  
აჩქარებულხარ ძალიან,
- გიცნობენ როგორც სიკეთის მპყრობელს,
- მართალ კაცს ცოდვა-ბრალიანს.

ეგ თოფი რაღად აგიკიდია,  
ალბათ გამრავლდა სადღაც სატანა,  
სუყველას გვინდა შემოგიერთდეთ,  
ნეტავ შენ კეთილ პვალზე გვატარა.

- მისთვის პასუხი ვერ გამოვმებნე,  
სირცხვილით ტანში გამაურიალა,  
როგორ გავბედე ასე წახდენა,  
მე, გულბოროტმა ადამიანმა!

მინდორში გაველ, მსუყე ბალახი  
მუხლის თავებზე მეფერებოდა;  
თოფი მეჭირა მომზადებული,  
ყველგან ნადირი მეჩვენებოდა.

უცებ შევნიშნე ერთგან, ტყის პირას  
შველი და ნუკრი მშვიდად მავალი;  
გული გავყინე ტინად ვაქციე  
ეს ხასიათი გარდამავალი.

- ვაიმე დედა! მონადირეა!
- ნუკრს გაეპარა ფერი შიშისგან.
- შველმა მიცეირა, მიცნო, დამშვიდდა  
და სიხარულით წრფელით იცინა:

— ნუ გეშინია, ჩემო პატარავ!  
ეგ ფორე არის, ყველამ იცისო,  
სიკეთისათვის დაბადებული  
ბედნიერებად თესაგს სიცილსო.

რა კარგი არის ჩვენთან მოსულა,  
ვეღარ დაგვჩაგრავს აწი ვერავინ,  
არის ბოროტთა გამწბილებელი,  
მათი მოდგმისთვის ლანძღვის მკერავი.

დღეს იბალახე აქ უზრუნველად,  
მფარველი ღმერთი მოგვლინებია,  
საღამოზე კი სახლში რომ მივალთ,  
შენ თანატოლებს მოგვერის ბებია,

როცა დასხდებით ერთად მწვანეზე,  
მათ დღევანდელი ამბავი უთხარ;  
სიკეთე არის, შვილო, ჩვენს თვალწინ,  
გაიღიმილე, მოწყენით ნუ ხარ.

— ძაღლი მოსდევს და თოფი უჭირავს,  
მაგის მსგავსმა არ მოგვიკლა მამა?  
აქ დაგვიტოვებს ცრემლსა და სევდას,  
ვინმეს მოგვტაცებს და ისე წავა.

— არა, პატარავ, ერწმუნე უფროსს,  
მაგან ამრავლა ქვეყნად ხალისი;  
თავისი ხელით მოგვიტანს ბალახს,  
გაგვიღიმებს და წავა თავისთვის.

ისე ვისტენდი მე ამ საუბარს  
ვით დამნაშავე სამსჯავროს წინა,  
ეს რა ეშმაკი შემაჯდა მხარზე,  
სულ რომ სიცოცხლეს ვეტრფოდი წინათ.

ეს წუთიერი ჩემი წახდენა  
აღსარებაში ნაჩვენებია,

იმ შეცდომათა მძიმე წუთები  
გულის ტკივილად დამჩემებია.

მწვანე ბალახის კონა შევპარი,  
შვლის ნუკრს მივართვი, თავი დავხარე,  
ანგარებაში სიკეთის ფორთხვით  
გაბოროტება შავი ხარხარებს.

მან სიხარულით შეიკუნტრუშა,  
დედამ მადლობად მოხარა მუხლი,  
რა იცოდა, რომ სული ნაცემი  
სინაულისფრად მოსავდა წუხილს.

იქვე, ტყის პირას ჯირკზე ჩამოვჯექ  
და ჩემი ბარგი გავათავთავე,  
მასრიდან საფანტი გამოვყარე,  
შიგ ფრინველთათვის ქერი ჩავყარე.

ხოხობი, მწყერი, გნოლი, კაკაბი,  
დურაჯი, გვრიტი, მწყერი თუ ღალდა,  
გაეგოო ფორე აქ მოსულაო,  
ყველა ზეიმით აფრინდა მაღლა.

მე თოფის სროლით მივეც სალუტი,  
ცაზე საჩუქრად ვთესე საკეპი,  
დანა ზურგჩანთის ძირში ჩავმალე,  
პირალესილი, ხორცის საკეპი.

ვის უნახია ლალი ნავარდი  
ცაში აჭრილი ფრინველებისა,  
ხოხის კუდები ვთ ცისარტყელა  
ფერებად ცრიდნენ ნათელ შუქს მზისას.

მართალი კაცი აღარ მეთქმოდა,  
სირცხვილის ოფლი მდიოდა ცოდვილს;  
მხრებზე შემაჯდა მრავალი მტრედი  
და სათნოებით თავიდან ვცხონდი.

ჩემი ქოფაკი ოქროს ჯაგარა  
დადნა ალერსით და კუდის ქნევით,  
ზურგზე მრავალი ფრინველი ეჯდა,  
ეფერებოდნენ ბუმბულის რხევით.

ასე ვართობდი სმენას და მზერას,  
სურნელს მაფრქვევდა თასით ღიღილო;  
უცებ ფრინველებს ვით მეხთატეხა  
თავზე დააცხრათ თარსი მიმიხო.

ჯერ ბეღურების არია წყობა,  
მერე მწყერების გაფონტა გუნდი,  
მას ძერა მოჰყვა, ქორიც მოფრინდა,  
ნადავლით სურდათ გავსება გუდის.

მყის შევუძახე, დაფრენა ვთხოვე,  
მათ მორჩილება აღარა სურდათ,  
უპვე გაეგოთ, რომ სანადირომ  
ერთობ გამიქრო ნაღარამ სულთქმა.

ჩემი ძალა და მძლეთამძლეობა  
სათნოებაა ძარღვში ნარგავი;  
მტაცებლებს ძალზე გახარებოდათ,  
თქვეს, მომეკიდა უცებ ნაგავი.

უზნეობით და დაუნდობლობით,  
ნაზ არსებათა ქლეტის სურვილით,  
ეგონათ წავხდი, დავჩაჩანაკდი,  
რადგან სისხლის სმის მწვავდა წყურვილი.

დავკარგე სმენა, გამიქრა ცნობა,  
სილამაზის და ნაზი სულისა,  
ტყვედ შევიქენი ავი სიხარბის,  
ცოფით გონება დანისლულისა.

ვინც ბოროტების გაიშლის სუფრას  
და სიკეთისას დატოვებს მწვერვალს,

სისხლით დამთვრალი უზნეობაა,  
ლომიც რომ იყოს იქცევა მწერად.

მას თავი უძლეველი ჰგონია,  
როცა სიცოცხლეს სპობს და აწვალებს,  
არ იცის ხეა ფესვებშეჭრილი,  
მცირე ნიავიც გააბანცალებს.

მმღეთამმღლეობად სიყვარული მაქვს,  
სათნოება და ყველას სიკეთე,  
თუ დავინახე სადმე ჩაგრული,  
თვით ჭიანჭველის შველად ვიუვიქებ.

რა იცოდნენ, რომ ავგულ ცდუნებას  
გავუძელი და ჩავთალ მიწაში,  
სადაც სიცოცხლის ფეთქვა ინათებს,  
იქ ჩემი ცეცხლის ფაფარს ვინ წაშლის.

რაკი მიგწვდი, რომ არ მიჯერებდნენ,  
ეს მტაცებლები დადარს მესროდნენ;  
მწერად მიმიღეს, ნამუსაყრილად  
და ფრინველებში დათარეშობდნენ.

შეიქმნა მწარე წივილ-კივილი,  
გაქრა სიმღერა, ცეკვა, გნიასი;  
წინ არაფერი ეღობებოდათ,  
ბრჭყალებში ეჯდათ კრატოს-ბიასი.

ეს თავხედობა ვერ მოვითმინე,  
მე ხომ ამ ქვეყნად ზეიმს შევხარი,  
აღვირა სინილებს ქამანდა ვტყორცნე,  
ყველა თავხედი ერთად შევგარი.

ფრთებზე ბუმბული წავაცალე და  
ბრჭყალები ქვაზე გადავუჩეჩევე,  
ნისკარტის ფორმა სულ შევუცვალე,  
ქერის საკუნკად გადავუპეთე.

მაშინ იქ იმათ ბოდიში ფანტეს,  
თავხედობაც ზედ მოინანიეს,  
ასეა, მმაო, ძალის წყალობით  
სიკეთის ჭიქა წყრომით დალიეს.

ამქვეყანაზე იმთავად არის  
აზვირთებული ძალა ორმაგი,  
ერთს ბოროტების ფორმა აცვია,  
მეორე იმის მსგავსებს შორს დაგვის.

როცა ბოროტს სძლევს სიკეთე საღი,  
იხარონ მისმა გაკვეთილებმა,  
დაიფერფლება შავი ქადილი,  
თვითონ ბოროტიც გაკეთილდება.

მაგრამ თუ აჟყვა ლვარძლს ლვარძლის ტალღა,  
წინ არ დაუდგა მძლავრი ჯებირი,  
წყევლა, გოდება დაიბყრობს სმენას,  
ყინვად იქცევა ცხელი მზე გმირის.

მოიწამლება, გავერანდება  
ერთხელ სიცოცხლის საღი თავთავი,  
სარეველებს დარჩებათ სათელად  
ადრე სიუხვედ ბაღი ნართავი.

სწორედ იქ დავხვდი შემართებული,  
სადაც ფრთას შლიდა სტიმფალდი ცოდვის,  
კვლავ ავამღერე ფრინველთა მოდგმა,  
მისი მოსმენით ზელახლა ვცხონდი.

არ დავიზარე, ყველა მიმინო  
მწყერის კვერცხებზე კრუხებად დავსვი,  
მათი ტკივილი შევაგნებინე,  
ეს საქციელი სულ ქებად ვასვი.

ძერას ძიძობა ვანდე წიწილის,  
ყვავს სანაშენე კვერცხის შერჩევა,

სვავი ბატქნების მწყემსად გავუშვი,  
კაჭკაჭს მოვთხოვე ფლიდის შემჩნევა.

ყველგან გაგაქრე შიში და მტრობა  
მე ფრინველების სამფლობელოში,  
უბედურებას ლხენით მარხავდნენ  
ბედნიერების სამლოცველოში.

ვახ, რა ტკბილია ვინც მოისმინა  
მთლად უდარდელი ჩიტის გალობა,  
ჰარმონია რომ დუღს და გადმოდის  
აყვავებული ბედის წყალობად.

მიმინოს ზურგზე ესხდა ბარტყები  
მწყერის და ცაში დააქროლებდა,  
ძერა წიწილებს საკეპს უყრიდა,  
ზედ დარიგებას დააყოლებდა.

სვავი ბატქნებისათვის ნორჩ ბალახს  
მნად იალალზე დააგორებდა,  
სადაც ნახავდა ორმოს და ნაპრალს  
ცხვრის გასავლელად გაასწორებდა.

არწივი ბატებში გარეული  
ყველასა სოვლიდა თანატოლებად,  
თავდაბალი და ზრდილობიანი  
უსალმოდ არვის არა სტოვებდა.

ვიჯექ, ვუცქერდი ამ ჰარმონიას,  
გული კი შიშით მეკუმშებოდა,  
რომ გავმხდარიყავ მე არაკაცი,  
რა სიყვარული მეფუშებოდა.

ბუნება შვებით იბერტყედა კალთას,  
ფრინველებს ჰქონდათ სმა და ღრეობა,  
მოისპო, მოკვდა, გაქრა იმ მხარეს  
კვნესა, გოდება ძალმომრეობა.

მაგრამ დიდია მთა, ველი, ჭალა,  
სხვა მხეცებიც ხომ ბლომად არიან,  
რაც იმათ შორის ამბები ხდება,  
ჯუნგლის კანონის მონაგარია.

ლომი, ვეფხვი და მგელი მრავალი,  
ავაზა, ჯიქი, წუწყი აფთარი,  
სიმაღლის მიხედვით ბატონობენ,  
თავი ჰგონია ყველას მართალი.

აწიოკებენ შველსა და ირემს,  
მათი სიმშვიდე მოუტაციათ,  
სისხლით დასვრილი ბასრი ბრჭყალებით  
სიკეთის ნერგი მოუკაწრიათ.

ნასუფრალებზე ტურა, მელა და  
სხვა წვრილფეხობა ურცხვად დაძრწიან,  
თუ რამე შერჩა ლომის ნახრავ ძვალს,  
კბილების ღრჭენით სუფთად აცლიან.

სადაც ნათელი სიხარულია  
შეუბორკიათ, გაუძარცვიათ;  
სიმახინჯედა ყვანან ბუნებას,  
მეკობრის ღროშა აუტაციათ.

მე იქ ვიჯექი დიდი ტყის პირას  
და ფრინველების მღერას ვისმენდი,  
ტქბილი ჰანგებით გაბრუებული  
ნათელ ოცნების სასმისს ვივსებდი.

უცებ მომვარდა პატარა ნუქრი,  
დილით ბალახით რომ შევირიგე,  
შევხედე, იყო თვალცრემლიანი,  
მორიგ საქმეთა მე ჯერი ვირგე.

— მგლები მოცვივდნენ, ძლივს გამოვუსხლტი,  
მათი შეხედვა ვერ გამებედა,

დედამ სხვა მხარეს გაიტყუა და  
ფორე ნახეო, თან შემევდრა.

მამა ადამიანმა მომიკლა,  
ჩემთან უწყალოდ რად დაობს ბედი?!  
დედას ბოროტი მგლები მისდევენ,  
მიშველე, თორე მთლად დავობლდები.

დრო არ ითმენდა, მყის წამოვიჭერ,  
ოქროსჯაგარა წამომყვა თანა;  
მალე მივადექ დაუნდობლობას,  
როგორა სპობდნენ სიცოცხლეს ძალად.

შველი კლდის პირას მიმწყვდეულიყო,  
სამი მხრით მგლების ერტყმოდა ხროვა,  
საწყალს დაღრეჭილ კბილების მზერით  
შემოსჩენოდა ძრწოლვა და გლოვა.

მას თვალზე ცრემლი უჩანდა წმინდა,  
მგლებს – პირზე ღუჟი ცოფად ქცეული,  
მადას სიგიჟედ უათკეცებდათ  
შველის სხეული ქონდაჩნეული.

სისხლის დათხევა ეხერხებოდათ,  
გაავებულებს ქაჯის ბოდვისგან,  
მალე მოსპობდნენ კიდევ ერთ ლიმილს,  
ქვებს შერჩებოდა გვალი ცოდვისა.

მსწაფლ ვიმოქმედე, დრო არ ითმენდა,  
იცით, არა ვარ გაუბედავი,  
ქამნდა ვტყორცნე, დაბლა დავეცი  
მათი ბელადი დაუჭედავი.

მეორე ბოლო მოვიმარჯვე და  
მგლები კუდებით მაგრად შევკარი,  
ვიხილე ხარბი, სისხლმოწოლილი  
თვალთა ძრიალი, შიშით შემცარი.

ჩანთიდან გაზი ამოვაძვრინე,  
ყველას დავაძრე გლევის კბილები,  
მხოლოდ შემორჩათ სარძევედ ტუჩი,  
დასაღეჭავად, მივეც მცირედი.

წინ ფარასავით გამოვირეკე,  
შვლის ნუკრს მწყემსობა გადავულოცე,  
გახარებული ავიყვანე და  
სახე ერთავად გადავუკოცნე.

მორჯულებამდე თოკით დაყავდა,  
ეს მგლების ხროვა ფარად ქცეული,  
ბალახის ძოვა ყველას ასწავლა,  
იყვნენ ამ საქმეს გადაჩვეული.

მაგრამ განცხრომა ჯერ ადრე იყო,  
სიმრუდის გასხვლას ცოდნა უნდოდა,  
ამ საოცნებო სილამაზეში  
ჯერ კიდევ ბევრი ცოდვა ბუდობდა.

დიდი მუხის ქვეშ ერთხანს ჩამოვჯექ,  
ლომის ღრიალმა მოწამლა სმენა,  
მეგონა, მგლებით მოგსპე სიავე,  
ცოდვების ბოდვა მესმოდა ჯერაც.

წინ ფურკამეჩმა გადამირბინა,  
ჩლიქების დარტყმით მიწა იძვროდა,  
მტაცებელი რომ კვალზე მოსდევდა  
ფურის გოდების ხმაში ისმოდა.

ფქზე წამოვდექ და დაუცადე,  
მალე შეტოკდა ხე, მთა და მიწა,  
თავი გამოყო მძლავრმა არსებამ,  
ლომის სიფათი ფაფარზე ვიცნ.

წამსვე ყურებზე მოვკიდე ხელი,  
ურჩი ბავშვივით დავუტრიალე,

მთელი რისხვა და ავაზაკობა  
ერთი შეხედვით გაფუტიალე.

პირში ამოვდე მძიმე აღვირი,  
სადავეები მაგრად მოვჭიმე,  
როგორც ბუცეფალს ზედ გადავაჯექ,  
არა ვყოფილვარ მართლა მორცხვი მე.

უღრან ჭალაში გავაჯირითე,  
უკან მომდევდა ოქროსჯაგარა.  
ჭოტს დავავალე მხეცების ხმობა,  
მანაც ჩაჰერა ბუქს და ნაღარას.

შერჩეულ ადგილს ფართო მოლიანს,  
შევაჯირითე ჩემი მერანი,  
იქ დავუცადე, რომ მოსულიყვნენ  
ჯუნგლების მკვიდრნი მხეცნი ყველანი.

ყოველ კუთხიდან შემოდიოდნენ  
პირსისხლიანნი, ლემით დასვრილნი,  
ჩემს სმენას როგორ გამორჩებოდა,  
მიდამო იყო კვნესით გავსილი.

გრძელი მათრახი მეჭირა ზელში,  
ბრაზისგან სული მეზუთებოდა;  
ბუნება კრძალვით მაძლევდა სალაშს,  
დაგვიანებას მეკითხებოდა.

ვეფხვი მოვიდა ცოდვით გამძღარი,  
იქვე წამოწვა გალალებული,  
სიამოვნებით ილოკდა ტუჩებს,  
სხვისი სიცოცხლით დანაყრებული.

დინჯი ნერგები ვეღარ მოვთოკა,  
თავხედს მათრახი ვურტყი და ვურტყი,  
მას შემდეგ ტყავი დაზოლილი აქვს,  
ცემა სიკეთედ ერგო მის უძ ტვინს.

აფთარს სიმყრალე თან მოპყვა ლეშის,  
ახლა იმაზე გავინადირე,  
ბილწი კბილები ძირში ვუმტვრიე,  
ზეწნა-მუდარა გავინაპირე.

ერთი ავაზა გაგაშავე და  
მეორეს კიდევ მოვცხე მათრახი,  
რაღა სუყველა ჩამოგოთვალოთ,  
შეცეცებმა იწყეს მოთქმა, თახთახი.

ვიხმე კურდლელი, შველი, ირემი,  
ვთხოვე, რომ ძილი ემწარებინათ,  
ეს დიდი ფარა გაერექათ და  
ბალახის ჭამა ესწავლებინათ.

მათ საამისო კბილი არ ჰქონდათ,  
ბალახს სჭამდნენ და არ ერგებოდათ,  
ძროხები რძის მიცემას შეპპირდნენ,  
სანამ საღეჭი დაეზრდებოდათ.

საქმე სუყველამ გაინაწილა,  
ლომი წველიდა, თაგვი დღვებავდა,  
ვეჯხვს კატა ყავდა მიმაგრებული,  
ჯამიდან მასთან დოსა ხვრეპავდა.

ტურა და მელა ნაკვეთს წმენდავდნენ,  
მარტორქა ხნავდა, წერო თესავდა,  
წელში მოხრილი მკიდა ავაზა,  
გიპოპოტამი დინჯად ლეწავდა.

სპილო ხორთუმით ანიავებდა,  
თხა ტომარაში ჩაყრას ეწვალა,  
ვერ მოახერხა, ფარცხვა არჩია,  
მისი ადგილი ვირთხამ შეცვალა.

ყანჩამ სათონე ადგილი ნახა,  
თახვებმაც წესით მაგრად იშრომეს,

თონე კალოსთან ახლოს მოაწყეს,  
სავალი გზები არ დაიშორეს.

წერო აკრავდა, ყარყატი ზღიდა,  
ჩხიკვი სუფრაზე ანაწილებდა,  
კაჭკაჭი სამარილეს ეძებდა,  
ყალბი ფუსფუსით გაგაცინებდა.

ყველი, კარაქი ბლომად დააწყეს,  
მსუყე ბალახს ხომ ვერ იცილებდნენ,  
რძეს გადაკრავდნენ, ცხიმით დამთვრალნი  
დოს აყოლებდნენ, გულს იგრილებდნენ.

ლომი თამადად წამომჯდარიყო,  
წინსაფარი ზედ შემორჩენოდა,  
სათნოების და სიკეთის ტრფობა  
მას სადღეგრძელოდ შემოსჩენოდა.

ბალჩა, ბოსტანი, ხილი უჭირდათ,  
ტკბილი სურნელი ეთეროვანი,  
შრომის პირველი ზეიმი ედგათ,  
სუფრაც ჯერ იყო ერთფეროვანი.

იქვე ფიცივით დაადგინეს, რომ  
მეურნეობას გაამდლავრებდნენ;  
ზეიმს გახდიდნენ საყოველთაოს,  
სტუმარ-მასპინძელს გაამრავლებდნენ.

იყო ურყევი ბედნიერება,  
იყო სიცილი, იყო თამაში,  
იყო ერთურთის პატივისცემა,  
იყო ცის თაღზე სხივის კაშკაში.

გადაიყარა სევდის ლრუბელი,  
ვერვის ნახავდით გლოვით თმაგაშლილს,  
მონატრებოდა კურდღელს არწივი,  
ბატკანს ეწვინა მგელი ბაგაში.

არწივმა მთიდან ქუჩი მიართვათ,  
მტრედი დაღალა ცემვა-თამაშით,  
მერე ამაყად კუნძზე შემოჯდა,  
რმით სადღეგრძელო რიხით თქვა მაშინ:

— ჩვენ, ფრინველებმა, ბედნიერება  
თქვენი გულობილად გავინაწილეთ,  
მოგეხსენებათ ცოტათი ადრე  
ყველა შარი და ჭირი გავწირეთ.

მომილოცნია, რომ შეიძელით  
ერთხმად მოგეპაოთ ლვარძლი და მტრობა,  
ამიერიდან ყველა ვუმღერებთ  
ძმობას, ერთობას და თანაგრძნობას!

მე ბუჩქის ძირას ვიჯექი წყნარად  
და ამ სურათის ჭვრეტით ვტებებოდი  
წინა ოცნებას მივაცილებდი,  
ახლის მოლოდინს ვეფიცხებოდი.

ოქროსჯაგარა მოვარდა ყეფით,  
საზარელ ამბის ფეთქვა მაცნობა,  
თურმე კვლავ დარჩა ამ ქვეყნად ვიღაც  
ჩემი მიზნების ედგა არ ცნობა.

სწრაფად წავყევი, ზის ბუჩქზე ვნახე  
ლამაზ ჩიტს კოხტა ბუდე დაეწნა,  
იქვე ვიზილე საშინელება  
თავის აზრი რომ მრუდედ გალეწა.

ტოტზე ამბვრალი გველი წიოდა,  
შეჭმა უნდოდა მათი გარეწარს,  
ოქროსჯაგარა ვერა სწვდებოდა,  
ყეფით იკლებდა არემარესა.

უხსენებელი არა ჩქარობდა,  
ბარტყების მზერით ლესავდა მადას,

დაუნდობლობის ავი სატანა  
მას ხასიათის ფესვადა ყავდა.

განწირულები შველას ითხოვდნენ,  
მშობლები იქვე ცრემლად დნებოდნენ,  
ხეებს დაეშვათ გლოვად ფოთლები,  
საშინელებას წყევლად ხვდებოდნენ.

უცებ ავმაღლდი, რისხად ვიქეცი,  
გაავებული კისრით ავწიე,  
ყველას წყევლა და ქოქოლის მიყრა  
ბოროტი სულის კვნესად დავწიე.

კბილები ისე გადავუმტვრიე,  
ღრძილის ნაწილიც არ დავუტოვე,  
შხამი ქოთანში დავაღვრევინე  
და დარიგება თან დავაყოლე:

— ამ ქოთანს აქ ვდგამ, გახსოვდეს ერთი,  
ეგ შენი მოდგმაც ასე დამოძღვრე,  
შხამი რომ ყელში მოებჯინებათ,  
გადაქცევაში შენ არ ჩამოგრჩნენ.

ამიერიდან აკრძალული გაქვთ,  
უხსენებლებო, კბილის ტარება,  
სიკეთით უნდა გამოისყიდოთ  
ბედნიერ დღეზე ცილისწამება.

რძის სმას მიიღებთ იმის დასტურად,  
თუ ჩანაფიქრი ავი შეცვალეთ,  
წალი და სანამ მეორედ გნახავ,  
ბრძნად გადაქცევა თქვენი ეცადე.

როცა ამ ქოთანს აავსებთ შხამით,  
სამკურნალოში ჩიტი აფრინეთ,  
საგსეს ცარიელით შეგიცვლიან,  
თუ ერთგულების ფიცი დაფინეთ.

Ես յաճացեա ՌՎՄԵՆԱԴ մօօլո,  
ԺՎԵԼՍ ՌՈԹ ԳԱՆՇԵՋԱ ԱՐԱ ԲՈՉՈԾԱ;  
ՄԱԿՆԵՋ ԾԱՎՈՒԾ ՏԱՎՈՍ ՄՈՋՄԱՇԻ,  
ԿՈՒՅԱ ՆԱԹՎՈՐԵՎՈ ԿԾՈԼՈ ՏՔԵՐՈԾԱ.

Մալլյ ՇԵԺՈՎԵՎՈԾՈ ՕՄՈՆ ՄՏԳԱՅՍ ՄՌԱՎԱԼՆ  
ԿՈԽ ԾՈՒՅԵ ԿՐԵՑՔԱԴ ՃՇՋԵՎ ՀԱԿԵՎՈԼՆ,  
ՄԻՋ ՇԼՐՇՄԱՆՆԵՋՆԵՐ ԿԵԼՔԻ ԾԱՐԾԵՋՈ  
ԱՐ ՇԵՐԻԵՆՆՈԾՈ ԾՎՈՆԱ ՆԱՄՎԵՎՈ.

ՏԱԿԵՄԵՋ ՈՒՎԱ ԳԵՏԼՈ ՃՎԵԼԵՅՈՍ,  
ՄԵՋԵՎՈ ՀԱՄՄՎՈԾԾՈ ՄՏԱՎԱՐ-ՄՏԱՎԱՐՈ;  
ԵՍ ԱՏԵ ՈՎՈ, ԱՏԵՎ ՈՎԵՅԵԱ,  
ԵՎ ՄԵԺԱՎԵԵԱ ՄԱՎԱՆ-ՄԱՎԱՆՈ.

ՄԵ ՄՈՎԱԼՇԻՋ ՕՄ ՄՎՄՋՐՈՅԵՅԱՆ,  
ՄԵԽՏՎԱՐ ԾՐՈԾՈՆ ՆԱՑՐԱԴ ՌՈԹ ՈՎՈ;  
ԱԳՐԵՎ ՄՐԱՎԱԼՈ ՃՎԵԼԵՎՈՎՆԵՐ ՄՎՋԵԼՈԾԱ,  
ՄԱԳՐԱՄ ՕՄ ՆԱՑՐԱՆ ՏՄՐՄԵ ՕՄՈ ՏՅՈԾԵՆ.

ՀԱՅՆԳԼԵՅԸ ԱԽԱԼՈ ԿԱՆՈՆԻ ՎՄՎՋՎԵՆ,  
ՏԱՏԱՄՐՈ ԿԻ ԺՎԵԼՈ ՀԱՎՑԻՎՎԵ,  
ՀԱՅՆԳԼՈԽ ԿԱՆՈՆԻ ԾԼԵՍ ՏԱՄԱՐՏԼԵԱ,  
ՏԱԿԵՄԵՏԱՆ ՎԵՐ ԳԱԱՄԱՐԾՈՎՎԵ.

ՏԱԿԵՄԵՄՈԱ ՏԱՎՎԱՐՇԼՈԽ ՀԱ  
ՏԱՎՈՎԵԼՈԽ ՏԵԽՈԽ ԳԱԱԼՄԱՏԵՅԵՅՈԽ;  
ԺՄՈՅՈԹ, ԵՐՏՈՅՈԹ ՀԱ ՏԱՏՆԵՅԵՅՈԹ  
ՄԵՎՈՒԱ, ՆԱԳՈՐՈՒԱ ԳԱԼԱՄԱՖԵՅԵՅՈԽ.

ՌՈՆ ՏԱԿԵՄԱՐՇԼՈ ԿԱՍԱ ՆՎՎՋԵՅՈԾՈ,  
ՏՈՂԵՅԵՅՈԽ ՏԱՏԵՄԱ ՇԵՄՈԿՐՏՈ ՃՎԼՈ;  
ՏԱՖԼԱՎ ՋԵՄԵՎՎՈ ՏՐՈՐԾՈ ՏԵՏԼՈ,  
ՋԵԽԵՑ ԾԱՄՈՎԵՑ ԳԱԼԱՄԵՅՎԼՈ.

ՄՈՐՆ ԳԱՎՈԽԵՋԵ, ՇԵՄՈԳՎԵՄԾՈ  
ՄՈՆԱԳՈՐԵՏԱ ՄՏԵԼՈ ԱՐՄՈԱ,

მათმა უმსგავსო გაველურებამ  
ტყის მფუდროებას ხელი დარია.

შემომეხვივნენ ფრინველნი, მხეცნი,  
რომელნიც აღარ იყვნენ მზეცები;  
ვთხოვე, სიმშევიდე არ დაეკარგათ,  
იმათ სათქმელი ვუთხარ მე ჩემი.

თოფის ქუხილით მოგვიახლოვდა  
კაცთა არმია, მწევართა ჯარი.  
ოქროსჯაგარამ უყელა ძაღლებს,  
შიში შეარგო, დასცა თავზარი.

გამოირეკა, ერთად შეყარა,  
თვითონ აუბა სუყველას მხარი,  
სკოლაში უგამოცდოდ ჩარიცხა,  
სადაც უფროსად კურდღელი არის.

ამბობენ, ძალზე ბეჯითობენო,  
გაუგეს სწავლის ძირს გემო მწარი,  
შეითვისებენ სიკეთის სითბოს,  
არ დარჩებიან, ჩემმა მზემ, მწყრალი.

მონადირებს მე შევეგებე,  
დენთი ვუქციე ხახვის თესლებად.  
სუყველას მივეც დასახსომებლად  
ტყის ბინადართა ქცევის წესდება.

ზოგს ავუკრძალე აქეთ გამოსვლა,  
ზოგის ხასიათს მკურნალობს შველი,  
რაც ამ მხარეში ვთესე ღიმილი,  
მას აქეთ თითქმის გავიდა წელი.

### შელეთაშლე ფორე გირთხების ხაფანგს დაეძებს

აჯაგრული ომი მოვრჩი,  
ხალხი ერთხმად შევარიგე,

ՐԱՎ մա՞նին մյ զօծեցուոց,  
Ըլլեսաւ պաշտամ րիշտագ ոցընէ.

մաս Շեմքց ամյշեցնագ գայրա  
տոցո, Նմալո, Նարեանան,  
Նոմ զոտեարոտ, ոմ դղութանց  
պաշտամ կունու բաշտամ միշտանուն.

Տոն դաշտրունդո լուռնոտ դա  
օսցո Շրոմա դաշտանց,  
Գագաւժորոյ մախոնցքնօ,  
Տաճաւ կունու դաշտանց.

Երտեղելաւ յալայմո Ռավել,  
Տայմի մյոնդա Նյուլ პատարա,  
Տայտանցու զուգա մինդուա,  
Վորտեա զեր մուսեա կարտամա.

Ցուլուստիզուլոտ Շերիզուլու  
Շեմեցուրս Տառմելո մյ հեմո,  
Շեմուարոյ յուրիծո  
Պաշտամ դա առա Շերիցոտ.

Վերսագ լոմուլո զեր վնանց,  
Տալնո կուրու դղու հոռուա,  
Շոմեցուրոտա Տախուան  
Կորմլուցո լաշտագ Կոռուա.

Գալամազուրու րաւ մեշրուա,  
Ըլլե Հռաջոնետագ մյիշտնա,  
Ամդյու շիշտուրուսուց  
Մարտո մյ Ռոշոր մյմշտալա.

Ռուրա վայանա Ռպալս մոայքս,  
Տորգավս լալագու նամցուլո,  
Կապուրո կապու Տուրուրուլո  
Առա պոյուլա ագուլո.

შემომხვდა ბლენძი მძარცველი,  
მკითხა — საიდან მოხველი,  
ამათი კვნესით ვსუქდები  
გაჭირვებაზე მომლხენი.

განა არ იცი ცხოვრება  
ცრემლის მორევზე ტრიალებს,  
მისი დაშრობა, სიკეთე  
მე მოშსპობს, გამატდალებს...

კითხვა შევტედე, ვუთხარი:  
სალწთან ყოფნა არ გერჩია?  
ვირთხის და აფთრის სიგლახე  
კაცს როგორ შემოგეჩვია?!

დაცინვით ჩაიღიმილა,  
ამბავის თხრობა დაიწყო,  
უცნობი ჩანხარ, აგიზსნი  
ჩვენს ყოფას მაინც-მაინც.

ქვეყანა თავზე გვენგრევა,  
მოვსპეთ, გავთელეთ რაც იყო,  
ქურდბაცაცები ვსუქდებით,  
ხალხი კი ავსებს ნაცრით კოვზს.

ქარხნები, მოვსპეთ, მოვშალეთ,  
ჯართად გაგყიდეთ ჩარხები;  
მთავრობა ცეკვავს, ზეიმობს,  
ხალხმა გაცვითა თალხები.

მთელი ამ ქვეყნის ქონება  
ვირთხების ხროვამ შეირგო,  
გვიხარია, რომ ჯერ ყველამ  
ცოდვის ძალა გერ შეიგნო.

არ მუშაობს აღარც ერთი  
არც ფაბრიკა, არც ქარხანა,

იქით ჩაი ამოვარდა,  
გაგერანდა აქეთ ყანა.

უმუშევრად დარჩენილი  
საქართველო ღეჭავს ჩალას,  
პოსტის მონა პარაზიტი  
ერის ინტერესებს ბლალავს.

დამშეული ხალხი გარბის,  
სამშობლოში რჩება კენესა,  
მთავრობაში შემძვრალ ვირთხებს  
სიცრუე აქვთ გზად და წესად.

თვით ადგილი რაზედაც ზის  
პრეზიდენტად თქმული კაცი,  
უცხოთაგან ნაყიდია,  
მათი რჩევით ოესავს ნაცილს.

შენიღბული ღალატის ფრად  
ქვეწის საჭეს ატრიალებს,  
ჩალიჩით და ხვეჭა-რბევით  
ყველა წმინდას ატიალებს.

ასე ერი ნადგურდება  
საქმე მტრისგან აწონილი,  
საქართველო უქართველოდ  
მუხოლობად აქვთ აწყობილი.

როგორ უნდა მემოქმედა,  
მწარე ფიქრებს შევრჩი მაშინ,  
ძველებურად ავაბრუნე  
ტვინის დოლაბები თავში.

ჯერ ქარხნები მოვიარე,  
მოვაგროვე ყველა მუშა,  
ახალი ჩარჩები დავდგი  
შრომადა და ფელამუშად.

ნედლეული შემოვზიდე,  
ვეღარ შეძლეს გადამალვა,  
შრომის აბუჩად აგდება  
დრომ ნელ-ნელა გადანავლა.

ეს საქმე რომ მოვათავე,  
ქალაქის ქუჩებში გაველ,  
ვნახე ბევრი მათხოვარი,  
— ბევრი უბედური სხვა მე.

მეტროს ვაგონში შევედი  
არვის სურდა სუჟარი,  
ყველას ყელში მოსწოლოდა  
შავი ფიქრის საგუბარი.

დაბოლმილი სახეები  
— კაეშანი არნახული,  
უიმედო გამოხედვა  
და ჩამქრალი გაზაფხული.

მათხოვარი ბავშვთა გუნდი  
მათი ცოდვით ტანჯვა ხარობს,  
თვალი ცვლება ცრემლის დენით,  
დე, სატანამ იხარხაროს.

იქვე ერთ კაცს შევეკითხე,  
ეს რა ჭირი ტრიალებსო,  
ასეთი უპატრონობა  
მთელ ერს გაატიალებსო.

მიპასუხა, მომისმინე,  
ეს ქვეყანა გაყიდესო,  
თვითონ ნაძარცვი შეირგეს,  
ჩვენ კი ტანჯვა აგვიდესო.

რაც რამ გვქონდა და გვებადა,  
უცხოელებს მიაჩუქეს,

მათ დალატი მოუწონეს  
დარბეული ბინაც უქმეს.

კრედიტი თუ რამ კვლავ დაგვრჩა  
ბლენძთა ხელში ნაცილდება,  
ვინც გვძარცვაგს და გვიღალატა  
სულ იმათთან ნაწილდება.

გასუქლნენ და გაიბერნენ,  
ხალხს სულ აღარ იხსენებენ,  
სისხლითა და ცრემლების ზღვით,  
სასახლეებს იშენებენ.

დამბრყობელი დაგვავიწყდა  
ვინც ბავშვების ლეწა კერი,  
მოლალატე ბლენძთა ხელში  
დაბადების დღეს ვიწყევლით.

კორუფცია შემოგვიჩნდა  
ვით ბედგამწყრალთ შავი ჭირი,  
ყველა კორუმპირებული  
კორუფციის ლანძღვას ყვირის.

მაღალ პოსტზე ვინც კი გაძვრა,  
კორუფციის იგრძნო მაღა,  
უზრუნველი ქონის ხვეჭამ  
იმის სულში ვიწროდ ბარდნა.

როგორც მოქსოვილმა წინდამ  
ერთგან თუ აუშვა პირი,  
დაიშლება, დაირღვევა,  
აღარ დარჩეს იქნებ ძირიც.

სათავეში მოლალატე  
თუ მოავდა ქვეწის ძარღვზე,  
დაიქცევა ის სამთავრო,  
გამრავლდება ჯავრი ჯავრზე.

რაღა მექნა, ჩემებურად  
მუშტის ქნევას მივაშურე,  
ჩემი ლიდი ენერგია  
კუზების შლას მივაწურე.

სიცრუე და ორპირობა  
ბლენძებს პირზე დაეკერათ,  
ცოტა, მცირე, ცუდი, მრუდი  
საპნის ბუშტად გაებურათ.

ერთს ამბობდნენ, მეორეს კი  
სალნის ჭირად აკეთებდნენ,  
ენა გატლეკილი ჰქონდათ,  
სხვასაც ასე აქეზებდნენ.

ცხვარი, ძროხა, თხა და ღორი  
შეეჭამათ მოეპარათ,  
მომხვეჭელის უძღებობა  
პოსტის ქებად მოეტანათ.

დამშეული ზალხის კვნესას  
ამრავლებდნენ, აბარტყებდნენ,  
ქარს სთესავდნენ სიცრუეში  
და სიმართლედ ამატებდნენ.

პრეზიდენტი, გამგებელი  
დაფჩენილი ყველას პირი,  
პროკურორს და პოელიციას  
ხალხის ძარცვის სჭირდათ ჭირი.

უსირცხვილო ჩინოვნიკი  
მუქარას არ ათავებდა,  
დაგეშილი პოლიცია  
ხალხს ძარცვადა ბრმათა ბედად.

გაილია, გაიწურა  
მოსავალი ზღვის სადარი,

մարդկա-ցլեցա Նշոմոծճա  
Տօմարտլեստան ծոլոված մօգարո.

ոյո პրեծութիւն յեծա,  
մլովելելեծ յնու լըսցա,  
մինժորն ռալա ցաւծերվածա,  
ծարայաց քարցաված զըրսա.

նառըս նարու ուսլո քամճա,  
սայոնցլս կո մարցու քորո,  
յեցո, ծեցո, ցըլա մեցո  
և առասո քէցամցորո.

Ռորմաթ եալուսո լացարցա,  
պատուանս ցաւչորճա,  
ընմոլո լա և եարշլո  
կըտոլ և եց ցաւչորճա.

Ծածիչ մշարո պրեծութիւն  
մարտպուարա կուժո մըլու,  
մոմեցելու և ուրուս լա  
ցաւանջլո եալես Շյովլու.

կըլազ մովմարու ծցըլեծուրած  
ռմակսա լա Շեմարուեկաս,  
ոյ և աջմա նակլս լազոնակազ,  
մալաց մամին մըմարեկա.

ցըլա ծլենծո Շըվացրուց,  
Տություն մացրած զաւտաց,  
մերյ ցնամո ցաւց նացնի,  
զամշաց, զածուրուաց.

մովմալու լա ամոցմուցաց  
շնայուցո յեծու կըալու,  
սալո Ռորմա Շըվացրուց,  
եարծո ելումո Շըվոկալու.

მედროვე კარიერისტი,  
მლიქენელი და გამფლანგველი,  
მშრომელებად გადავადნე  
სხვისი გარჯის გამფანტველი.

დოლაბები ავაბრუნე,  
ჩემებურად ვატრიალე,  
სიყალბე და კორუფცია  
გავაუქმე, ვატიალე.

ვისაც დიდი პოსტი ჰქონდა  
გლეხთან ერთად ვამუშავე;  
ოფლის სუნის მქონე კაცი  
დამიჯერეთ, ნამუსს არ რევს!

ზოგს ბოსტანი ვათობნინე,  
ზოგმა კიდევ ყანა მარგლა,  
ვინც ჩემს რჩევას არ გაუგო,  
სკამიანად გაჰყვა ნაგავს.

გაქრა ჭირი — მისი ძირი,  
პური ისევ აჯეჯილდა,  
თავისუფლად მოვამრავლე  
რაც რომ ადრე ასე ჭირდა.

ზედმეტს ვიღა მოითხოვდა,  
ხალხს სიუხვე ედგა ბურჯად;  
მომხვეჭელი შრომას ეძმო,  
ღორის კუჭი დაამუნჯა.

ორპირობა, ორენობა,  
თვალომაქცობა, ზარმაცობა,  
სიცრუეზე გაღორება,  
სიტყვისა და საქმის მტრობა,  
ერთმანეთის დაშორება;  
ყალბის მთქმელის, ყალბის მქნელის,  
ყალბი ტაშით აშმორება.

განგებ ქუზის გვერდით ავლა,  
ცრუის მართლად გასწორება,  
თხის ცანცარა წვერზე მჩატე  
თავის ტყვიად დაწონება.

ერთი ხელის გაკვრით მოვსპე  
ეს ცნობილი განტოლება;  
სკამოსანი ვეღარ ბედავს  
სიტყვის ქარზე დატოვებას.  
მიხვდა, სწორი საქმით არის  
სიმართლესთან დატოლება;  
ცოდვები მოინანიეს  
კორუფციის ავტორებმაც.

ხალხმა სიამით იყნოსა  
სურნელება გაზაფხულის,  
დავამიწე ჭირის თესლი,  
